სპორტიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 28 მარტი 2005 №67 (2390) ფასი 50 თეთრი

დაივიწყე საბერძნეთი, დაიწყე თურქეთი!

საბერძნეთის ნაკრები მეორედ ჩამოვიდა საქართველოში და მეორედ გაიმარჯვა, სულ კი ქართველები და ბერძნები ოთხჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და მოგებული ოთხჯერვე ელინები დარჩენილან — ვფიქრობთ, მეტყველი სტატისტიკაა, ვერას დაამატებ კაცი.

საბერძნეთის ნაკრები გვჯობია და აფერუმ, მის ვაუკაცობას!

კი მაგრამ, ჩვენ მწარე ცრემლი ვყლაპოთ და მუშტი ჰაერს ვულიროთ?

ალბათ, არა, რადგან ეს ყველაზე ცუდი გამოსავალია. აკი ვამბობთ, რომ საერთაშორისო ფეხბურთის მაგალითს უნდა მივდიოთ და, მოდი, ასეც მოვიქცეთ. მაგალითი კი ისაა, რომ დღეს მოწინავე ქვეყნებისა და კლუბების თავკაცთაგან ნიადაგ ისმის:

ჩვენ ძლიერები ვართ და მარცხი ვერ დაგვრთგუნავს!

სჯობს, ჩვენც ასე გამოვაცხადოთ და ხელახლა მოვემზადოთ გამარჯვებისთვის — დღეს თბილისს მსოფლიოს ბრინჯაოსანი თურქეთი ჩამოდის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენელებული კადრი: არ გვინდა ზურგი

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. მეორე ჯგუფი

თბილისი. 26 მარტი. 20.30 საათი. მიხეილ მესხი. 25 600 (ტევადობა 25 600)

საქართველო 1:3 საბერძნეთი

1:0 ასათიანი (22), 1:1 აპასისი (44), 1:2 ვრიზასი (45), 1:3 იანაკოპულოსი (54)

1 ლომაია

მწვრთნელი ალენ ჟირესი

13 ხიზანიშვილი 3 ხიზანეიშვილი 4 კალაძე

2 მჟავანაძე 5 კვირკველია

14 გოგუა 17 კოგიაშვილი

16 ასათიანი

11 არველაძე 10 დემეტრაძე

9 ხარისტიასი

15 ვრიზასი

8 იანაკოპულოსი

20 კარაგუნისი 7 ზაგორაკისი

6 გასინასი

18 გუმასი 2 სეიტარიდისი

21 კაცურანისი 19 კაპსისი

მწვრთნელი ოტო რეჰაგელი

1 ნიკოპოლიდისი

შეცვლა: გოგუა – 7. ცქიტიშვილი (46), არველაძე – 9. იაშვილი (62)

გაფრთხილება: მჟავანაძე (42), ხიზანიშვილი (44), გუმასი (63)

მსაჯები: რობერტო როზეტი; მარკო ივალდი, ალესანდრო გრისელი; პასკუალე როდომონტი (ყველა იტალია)

ფიფას დელეგატი: რობერტ შტარქსი (ბელგია)

ფიფას ინსპექტორი: მანუელ ლოპეს ფერნანდესი (ესპანეთი)

მალხაზ ასათიანის კიდევ ერთმა გოლმა ნაკრები ვეღარ გადაარჩინა

ბაფრი ჯუმილაძის ფოტო

კობა ინასარიძე

ათი წუთი, როცა ქართველებს ქვეყანა ჩვენი გვეგონა — ასე წერდა „სარბიელი“ 1995 წლის სექტემბერში გერმანია — საქართველოს მატჩის შემდეგ.

ახლაც დაახლოებით იგივე უნდა ვთქვათ: ოცდაორი წუთი, როცა ქართველებს ქვეყანა ჩვენი გვეგონა, ევროპის ჩემპიონი მეტოქე კი მიწასთან გასწორებული...

არადა, მართლაც რა კარგი იყო: ლევან კობიაშვილის უძლიერესად დარტყმული ბურთი სტუმართა მეკარეს ხელებიდან გაუვარდა, მალხაზ ასათიანმა თანაგუნდელ თავდამსხმელებსაც და მეტოქე მცველებსაც დაასწრო და 1:0.

თითქოს ყველაფერი ლოგიკურად მოხდა. ვიდრე ასათიანის გოლი გავიდოდა, ანტონის ნიკოპოლიდისი რამდენჯერმე გვარიანად შეწუხდა, ჯერ შოთა არველაძემ დაურტყა, შემდეგ გიორგი დემეტრაძემ, ერთი-ორჯერ მცველებმა დაუგორეს უხერხულად ბურთი...

ზოგადად, გოლამდე 22 და გოლისშემდგომი ამდენივე წუთი თამაში ჩვენებისა იყო. ვერ ვიტყვით, ბერძნებს არაფერი უკეთებიათო, მაგრამ ქართველები უფრო ყოჩაღად და ორგანიზებულად კი გამოიყურებოდნენ. ეგაა, მცველები ფაციფუცობდნენ და ამ ფაციფუცის შედეგად სტუმრებმა ორჯერ მიიღეს. სახიფათო ჯარიმის უფლება, მაგრამ ვერც კარაგუნისმა და ვერც ბასინასმა ბურთი კარს ვერ დაუმიზნეს. სულ ეს იყო, რითაც ბერძნებმა მასპინძლების ანერვიულება შეძლეს.

საკვირველი საქართველოს ნაკრების შუა ხაზის ბრძოლისუნარიანობა იყო. გოგიტა გოგუა და ლევან კობიაშვილი მეტწილად სქემისმიერად მოქმედებდნენ და ჩანდა, რომ ალენ ჟირესმა კოლეგას მისივე ხერხი ეფექტურად დაუპირისპირა. ისიც გამოჩნდა, რომ ბერძნებისთვის ეს მოულოდნელი იყო, მათი ტაქტიკური ნახაზი კი ნელნელა ირეოდა. შედეგად, ჩვენებმა მოედნის ცენტრში უპირატესობა მიიღეს, რაც მალევე გოლად აქციეს.

მერე ქართველები უფრო გათამამდნენ. თავდასხერება შეემატათ და გააქტიურდნენ. მომენტებიც ჰქონდათ, მაგრამ ჭარს გაატანეს. ამასობაში კი გოგუას კუნთი დაეჭიმა, უწამლეს, მაგრამ, მოსალოდნელი იყო და, მალე იგივე დაემართა. გოგიტამ ტაიმის ჩამთავრება უწინდელი ძალით ვეღარ შეძლო, შესვენებაზე კი სულაც შესაცვლელი შეიქნა.

და რა იყო შესვენებამდე? მოედნის ცენტრში დაკარგული ბურთი და ბერძნების კუთხური. ჩაწოდებული ჩვენებმა საჯარიმოდან ითოქოს გაიტანეს, მაგრამ შოთა არველაძეს ბურთი აეჭრა და საჯარიმოში ჩატრიალდა, ვრიზასმა მაკრატელათი დარტყმა სცადა (ნეტავ დაერტყა), მაგრამ ფეხი აუცდა, ოღნავ განზე, მარჯვნივ კი ბურთი კაპსისს მიუვიდა და მანაც შორეულ კუთხეში გაიტანა.

სად იყვნენ ამ დროს ჩვენი მცველები? სადღაც პენალტის ნიშნულთან შეჯგუფებულიყვნენ, ხოლო ბერძენი უპატრონოდ მიეტოვებინათ. მცველებმა მას ზურგი მიუშვირეს.

წამებში იგივე შეცდომა და თამაშის ბედიც, ფაქტობრივად, მაშინ გადაწყდა. ბერძნებმა ჩვენების არეულობით ისარგებლეს. ზედ კარის წინ ქართველებმა, ვერ გიტყვით, ოფსაიდის თუ რის იმედად, იანაკოპულოსი მიატოვეს, პასიც, შორეულ ძელთან, სწორედ მისი მისამართით გაკეთდა. ეს ჩვენებზე ადრე ვრიზასმა დაინახა და იანაკოპულოსის პასის მისაღებად გაქანდა. მასპინძლებმა ესაც გვიან შენიშნეს და ვრიზასმა ქართველების მეორე, ბავშვური შეცდომაც გამოიყენა.

შესვენების შემდეგ გოგუას ნაცვლად კარგა ხნის უთამაშებელი ლევან ცქიტიშვილი გამოჩნდა. ჟირესს სხვა გზა არ ჰქონდა, ამ ამპლუის ფეხბურთელი სხვა არავინ ჰყავდა. ცქიტიშვილს თუ არ გამოიყენებდნენ. ეგაა, მცველები ოიყვანდა, მაშინ მთელი ტაქტიკური მონახაზი უნდა გადაეწყო. მან კი თამაშის ისევე გაგრძელება ისურვა, როგორც დაიწყო. ეგებ, ასეც სჯობდა, მაგრამ ანგარიში რომ უკვე ბერძნებისა იყო? ასეთი ანგარიშის მერე კი ბერძნები ის ბერძნები იქნებოდნენ, პორტუგალიაში რომ მოიგეს?! ასეც მოხდა, სტუმრებმა დაცვა ერთი-ორად გაამაგრეს, რასაც პირველი ტაიმის თამაშით ჩვენებმა გასაღები ვერ მოარგეს. ანგარიშიდან გამომდინარე, ქართველები ფსიქოლოგიურად უკვე გატეხილები იყვნენ და თავდასხერებაც რატომღაც გასახდელში დეტოვებინათ.

ჩვენები თუ უტევდნენ და ანგარიშის გათანაბრებას ცდილობდნენ, ეს უფრო სპონტანურად ხდებოდა, ვიდრე გეგმაზომიერად. მესამე გოლის შემდეგ კი, რაც ისევ დაცვის უხეშ შეცდომას მოჰყვა, მატჩის გადარჩენის ყველა იმედი ერთიანად მოკვდა.

არადა, რა კარგი იყო ის ოცდაორი წუთი...

ლევან კობიაშვილი ბერძნულ ალყაში

ბაფრი ჯუმილაძის ფოტო

ალენ ჟირესი: მატჩი კარგად დავიწყეთ, გოლიც გავიტანეთ, მაგრამ სასწორი ბერძნების მხარეს გადაიხარა, შეხვედრის ბედი ორ წუთში გადაწყდა, როცა ორი ბურთი გავუშვით. მეტოქე ძალიან კარგად იყო ორგანიზებული.

— დღევანდელმა მატჩმა ბევრი ისეთი რამ დამანახა, რაც თურქეთთან შეხვედრისთვის უნდა გამოვიყენოთ. გუნდის მზადების პროცესი ხელახლა უნდა დავიწყოთ, პირველ რიგში, ფეხბურთელების ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე უნდა ვიზრუნოთ.

— მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის იმედი მაინც არ დაგვიკარგავს, თუმც საამისო შანსი შეგვიმცირდა. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

— შოთა არველაძემ პირველ ტაიმში სწორად ითამაშა და შესვენებაზე ამიტომ არ შევცვალე. ასეთი პირველი ტაიმის შემდეგ კი ძალიან ძნელი გამოდგა ფეხბურთელების მეორე ტაიმისთვის მობილიზება.

ანყობის თეორია ბერძნულად და განწყობის ფსიქოლოგია ქართულად

სოსო კოტორეიშვილი

სტელიოს იანაკოპულოსი ყველგან იყო და საუკეთესოც იყო

პარასკევის „სარბიელის“ მცირე წერილში, „იაზონი მედეასთან ანუ წაგება-მოგების ექვსი მიზეზი“, საქართველო — საბერძნეთის მოახლოებულ მატჩზე ვიბჭეთ. ახლა, როცა ოტო რეჰაგელის გუნდი თბილისიდან სამი ქულით გამდიდრებული გაემგზავრა შინ, კიდევ ერთხელ ჩავიხედე ზემოხსენებულ სტატიაში და ქვეთავში — რატომ უნდა მოიგოს საბერძნეთმა — ასეთი რამ ამოვიკითხე: საქართველოს ნაკრები ხასიათის, განწყობის გუნდია და იოლად შეიძლება მისი მდგომარეობიდან გამოყვანა; საბერძნეთი კი მეტოქეზე გაცილებით გამოცდილი და თავდაჯერებული გუნდია.

შაბათს ევროპის ჩემპიონებმა, იმის მიუხედავად, რომ აგებდნენ, მართლაც შეძლეს ქართველთა მდგომარეობიდან გამოყვანა და ეს სწორედ გამოცდილებისა და თავდაჯერების წყალობით, ცხადია, ოტო რეჰაგელის სწორი ტაქტიკისა და თამაშის წარმართვის უნართან ერთად.

ქვემორე წერილში საქართველოს ნაკრების ავკარგიანობაზე არაფერს ვიტყვი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რედაქტორის დავალებით კონკრეტულად ბერძენთა თამაშისთვის უნდა მედევნებინა თვალი და მატჩის ამ ერთგვარ ექსპერიმენტულ მიმოხილვაში ევროჩემპიონთა მოქმედების ანალიზი მიმეწოდებინა მკითხველისთვის.

ჯერ ის გავიხსენოთ, რომ ბერძნებმა შესარჩევი ციკლი ცუდად დაიწყეს, წაგეს ალბანეთთან, რასაც ორი ფრე მიაყოლეს. მერე მოუგეს ყაზახეთს და დანიას და თბილისშიც მოსაგებად ჩამოვიდნენ. მატჩის წინ ელინებს ცენტრალური მცველი, გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ტრაიანოს დელასი გამოაკლდათ და დიდად შეწუხებულნიც იყვნენ, მაგრამ, როგორც გამოჩნდა, რეჰაგელისთვის დელასის დონის მცველის უთამაშებლობაც დიდ პრობლემას არ წარმოადგენს.

მიზეზი მარტივია: „მეფე ოტოს“ ტაქტიკურ მონახაზში თითოეულ ფეხბურთელს მკაცრად განსაზღვრული სამოქმედო სივრცე აქვს გამოყოფილი, არ იყო დელასი და მისი წილი საქმის კეთება დაეკალა მიხალის კაპსისს, რომელსაც, მტკიცებაც არ უნდა, გერმანელმა მწვრთნელმა ვარჯიშებზე მისი სამუშაოს ეითოეული წვრილმანი, რომ იტყვიან, თავში ჩაუდო.

გამორჩეული ყურადღების ღირსია ბერძენთა ნახევარდაცვა. კარაგუნისი, ზაგორაკისი, ბასინასი და იანაკოპულოსი მოედნის ცენტრში ჯარასავით ტრიალებდნენ. ბასინასსა და ზაგორაკისს მცველთა დახმარება უფრო ეკალებოდათ, კარაგუნისსა და იანაკოპულოსს კი შეტევების წარმართვა.

ცალკე უნდა ითქვას სტელიოს იანაკოპულოსზე. ინგლისურ „ბოლტონში“ მოთამაშე ხოტორა ბერძენმა ისეთი სამუშაო გასწია, აუწონავი რომ ეთქმის. ქართველთა მარჯვენა ფრთა ხომ აიკლო და, დროდადრო ხარისტიას-ვრიზასთან ერთად მესამე ფორვარდადაც გვევლინებოდა.

პირველი 25 წუთის განმავლობაში ელინები გრძელი პასებით ცდილობდნენ ზემოხსენებულ თავდამსხმელთა მომარაგებას და უმეტეს შემთხვევაში ხარისტიასიც და ვრიზასიც საჰაერო ბრძოლებში ჯაბნიდნენ მეტოქეთ, რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს ლომაიას კართან. ასათიანის გოლის მერე კი, ეტყობა, რეჰაგელის დავალებით, ბურთის მოედნის ცენტრში კონტროლსა და მოკლე პასებით ფლანგებიდან შეტევების გამწვავებას შეეცადნენ. სწორედ ამ დროს ამუშავდა კარაგუნის-იანაკოპულოსის დუეტი. თავში ნახსენები გამოცდილებისა და თავდაჯერების წყალობით ბერძნებმა იგრძნეს, რომ მეტოქემ შეცდომებს უხშირა და ხასიათიც წაუხდა. შეცდომებისთვის კი გოლით სჯიან და აკი ევროჩემპიონებმა დასაჯეს კიდეც „განწყობის გუნდი“. 1:1-ზე, კაპსისის ულამაზესი გოლის მერე, ბერძნებმა ისიც იგუმანეს, რომ საქმის მოთავება პირველივე ტაიმში შეეძლოთ და მართლაც, შესვენებაზე 2:1-ით გავიდნენ. და კლავ უნდა ვახსენოთ იანაკოპულოსი, რომლის გამოზომილი თავური პასით ვრიზასს ბურთის კარში შეგდების მეტი არაფერი დარჩენოდა. „აი, დონე და კლასი“ — ჩაილაპარაკა გვერდით მჯდომმა ნირწამხდარმა ქართველმა ქომაგმა. ძნელია, არ დაეთანხმო.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ალენ ჟირესმა თქვა, პირველი ტაიმის მიწურულს გაშვებულმა ორმა გოლმა გაგვტეხა და მიეხვდი, თამაში წაგებული იყო, ანუ ჟირესს სამწვრთნელო მარაგში არ აღმოაჩნდა ის იარაღი, თამაშის ბედს სათავისოდ რომ შემოატრიალებინებდა. პირველივე ტაიმის მერე კი ოტო რეჰაგელი ალბათ მიხვდა, რომ საბი ქულა ჯიბეში ედო და მის მარაგში ის იარაღიც აღმოჩნდა, რომელიც არა მარტო ანგარიშის შესანარჩუნებლად, არამედ კიდევ ერთი გოლის გასატანად გამოდგა. ბერძენთა მესამე გოლი მატჩის უდავოდ საუკეთესო ფეხბურთელმა სტელიოს იანაკოპულოსმა შეაგდო.

პორტუგალიაში, ევრო 2004-ზე საბერძნეთის ნაკრების ტრიუმფმა ბევრი გააკვირვა. ვფიქრობ, გასაოცარგასაკვირი არაფერია. ისიც ვთქვათ, რომ შაბათს ბერძნებს სულაც არ უთამაშიათ თავიანთი საუკეთესო მატჩი, თუმცა ერთხელაც დაგვანახეს, რომ თანამედროვე ფეხბურთში სისწრაფე, გუნდურობა, სიხისტე და, რა თქმა უნდა, კარგად განსწავლული მწვრთნელია უმთავრესი. მწვრთნელი, რომელმაც კარგად იცის თავისი საქმე და, გაცვეთილ ფრაზას მოვიშველიებთ, თამაშის პროფესიულად წაკითხვა შეუძლია.

...მოედანზე რომ გადიხარ, ქარიანში იქით-აქეთ მიმორხეული ხის ტოტივით ზნე-ხასიათი გასახდელში უნდა დატოვო...



ბადრი ჯეთელავის ფოტო

ოტო რეჰაგელი: თბილისში ადრეც ვყოფილვარ, როცა „დინამოსთან“ ჩამოვიყვანე „ვერდერი“. მაშინ „დინამომ“ ძალიან კარგად ითამაშა და ახლაც ქართველებმა მატჩის პირველი 25 წუთი ჩინებულად ჩაატარეს. მაგრამ ჩვენ ევროპის ჩემპიონები ვართ და არანაირ მეტოქეს არ უნდა შევუშინდეთ. დღევანდელი წარმატება ალბანეთთან მომდევნო შეხვედრაში უნდა დავაგვირგვინოთ. ჩემი ფეხბურთელებით კმაყოფილი ვარ, ასე წარმატებულად ბოლო მატჩებში არ გვითამაშია.

უკრაინა	6	4	2	0	11:3	14
საბერძნეთი	6	3	2	1	10:6	11
დანია	6	2	3	1	10:6	9
თურქეთი	6	2	3	1	8:5	9
ალბანეთი	6	2	0	4	3:9	6
საქართველო	5	1	2	2	6:8	5
ყაზახეთი	5	0	0	5	2:13	0

მატჩის სტენოგრამა

1 წუთი: ქართველები უკვე ტრადიციად ქცეულ 3-5-2 სისტემით იწყებენ თამაშს, ბერძნები 4-4-2-ს ირჩევენ.

მე-6: პირველი კუთხური. სეტარიდისმა ძლივს მოახერხა კვირკველიას შეჩერება. კუთხურს დიმეტრაძის შორეულ კუთხეში დარტყმა მოჰყვა და ნიკოპოლიდისი ბურთს ხელებში აქცევებს.

მე-8: შოთა არველაძე გასცდა მცველს, მაგრამ ოდნავ მახვილი კუთხიდან ააცილა.

მე-11: ვრიზასის განივი პასი ლომაიამ ჩაჭრა და კუთხურზე გადაგდო ბურთი.

მე-14: ვრიზასმა საჩიოკაია საგარიმოს მოინადირა — კარაგუნისის მოჭრილი დარტყმა ხარიტას აისხლიტა.

22-ე: გოოოლ!!! ხანგრძლივი გათამაშების შემდეგ კობიაშვილმა საგარიმოს მისადგომებიდან დაარტყა, ნიკოპოლიდსს ბურთი გაუვარდა ხელიდან და ასათიანმა ახლოდან დაამატა — 1:0 შელარეებისთვის: ეს გოლი ძალიან ჰგავდა რონალდოს პირველ გატანილს 2002 წლის მუნდიალის ფინალში.

23-30: ჩვენები ბურთს აკონტროლებენ, ბერძნები კი აშკარად დამფრთხალები არიან. კობიაშვილი და განსაკუთრებით გოგუა ცენტრში სჯაბნიან ზაგორაკისსა და ბასინასს.

32-ე: კვირკველია მარცხნიდან სამ ბერძენს გასცდა, მაგრამ კარში დარტყმა იჩქარა.

34-ე: ბასინასმა ააცილა საგარიმო.

37-ე: გოგუამ ტრაკმა მიიღო და ტაიმის დარჩენილ წუთებში აქტიურად ველარ ითამაშა.

44-ე: საგარიმოს სიახლოვეს ბერძნებმა ჯარიმა მოინადირეს. ჩაწოდებული ბურთი არველაძემ ველარ გამოიტანა, ბურთი ფეხიდან აეჭრა და მიხალის კაპსისმა შორეულ კუთხეში დაურტყა ლომაიას — 1:1.

45-ე: ჩვენები მთლად აიჭრნენ. ზაგორაკისის პასის შემდეგ იანაკოპულოსმა თავით დაუგდო ვრიზასს და მანაც თავითვე შიგში ჩააგდო ქართველები — 1:2 სტადიონი დადუმდა.

54-ე: ლომაიას შეცდომა — ჩვენმა მეკარემ ცხვირწინ მოიგერია ბურთი, იქვე იანაკოპულოსი იყო და რატომ ვერ გაიტანდა?! ფაქტობრივად, არაფრისგან გაკიდა ეს გოლი — 1:3.

62-ე: გუმასმა წამით დაასწრო დემეტრაძეს, რომელიც ნიკოპოლიდისთან პირისპირ გადიოდა.

66-ე: კაპსისს ფეხში რაღაც საგანი მოარტყეს ტრიბუნიდან.

67-80: ბერძნები ნება-ნება თამაშობენ, ქართველები კი დროდადრო უხეშობენ. ხალხი ნელ-ნელა გაიკრიფა სტადიონიდან...

82-ე: დემეტრაძის გამჭოლი პასი, ჩაწოლილმა იაშვილმა ორი მეტრიდან ააცილა.

84-ე: ასათიანთან გათამაშებული კედლის შემდეგ იაშვილმა გარედან მოარტყა ბადეს.

87-ე: კალაძის შეცდომის შემდეგ კარაგუნისმა ოდნავ ააცილა შორიდან.

ჟირესი: ეს ის არ იყო, რაც შეგვიძლია
არველაძე: ალოგიკა გვამტვრევს



გუშინ, საღამოს საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშა, წვრთნა დახურული იყო და მასზე ვერაფერს მოგახსენებთ, ხოლო ვარჯიშამდე ალენ ჟირესმა უკვე სათურქეთო პრესკონფერენცია გამართა — მეზობლებს 30 მარტს უნდა ვეპაექროთ და ბერძნებთან მარცხის რაც შეიძლება მალე დავიწყება ჩვენი ნაკრებისთვის ალბათ ახლა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია.

პრესკონფერენციაზე შოთა არველაძეც მოვიდა და ჯერ მან უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

შოთა არველაძე: ბერძნებმა ჩემი შეცდომის შემდეგ გაათანაბრეს ანგარიში და პრესკონფერენციაზეც იმიტომ მოვედი, რომ დამალვას არ ვაპირებ. ჩვენ უკვე 55-ე წუთზე წავაგეთ თამაში. შეიძლება ეს იმის ბრალიც იყო, რომ ევროპის ჩემპიონს ვეთამაშებოდით. მაგრამ ეს ის მატჩი არ იყო, როცა მეტოქე აშკარად გჯობნის და არაფრის შანსს არ გიტოვებს.

— გულშემატკივართა ყველაზე მეტი გულისწყრომა შენ დაგატყდა თავს...

— ეს ჩემი იმ შეცდომის ბრალია, რომელსაც ბერძენთა პირველი გოლი მოჰყვა. გულშემატკივრის კარგად მესმის, გამოცდილი ფეხბურთელი ვარ და უხეში შეცდომა დავუშვი. ამ შეცდომამ, რომ იტყვიან, მომსპო. შემდეგ მეორე გოლიც გავუშვით და ყველაფერ ამას ვეღარ მოვერიეთ.

— მატჩის შედეგი ლოგიკური იყო?

— ყველაზე მაგრად არაფრისგან გაშვებული გოლები გვამტვრევს, ალოგიკური გოლები ჩვენზე დამანგრეველად მოქმედებს.

ალენ ჟირესი: უკვე სათურქეთოდ ვემზადებით, თუმც საბერძნეთთან მატჩს დავუბრუნდები — ეს არ იყო ის, რაც საქართველოს ნაკრებს შეუძლია, უკეთესად შეგვეძლო თამაში.

— რა ტაქტიკით ითამაშებთ თურქეთთან, ბევრი ცვლილება იქნება გუნდში?

— ჯერ გადაწყვეტილი არ მაქვს, რა ტაქტიკას ავირჩევთ სათურქეთოდ და გადაწყვეტილი რომც მქონდეს, ამას საქვეყნოდ არ ვიტყოდი.

— მარცხენა ფლანგზე ბერძნებთან დავით კვირკველიამ რამდენჯერმე გაიბრწყინა, მარჯვენა ფლანგზე კი კახა მჟავანაძეს შეტევაში, ფაქტობრივად, არაფერი გამოსდიოდა — 3-5-2 სქემის შეცვლას ხომ არ აპირებთ?

— ამ სქემით აქამდე ყველაფერი კარგად მიგვდიოდა, საბერძნეთთან მთლიანად გუნდმა ვერ ითამაშა კარგად, თორემ მხოლოდ მჟავანაძე აქ არაფერ შუაშია.

— დაგროვილი ყვითელი ბარათების გამო ზურაბ ხიზანიშვილი თურქეთთან ვერ ითამაშებს...

— ასეთი დანაკლისი სათურქეოოდ ძალიან უსიამოვნოა, მაგრამ ხიზანიშვილის შემცვლელს გამოვძებნით.

— გოგიტა გოგუაზე რას იტყოდით, მან ბერძნებთან ტრავმა მიიღო და როდის მომჯობინდება?

— პირველ ტაიმში ის საუკეთესო, არაჩვეულებრივი იყო. რაც შეეხება მის ტრავმას, ჯერ არ ვიცით, მკურნალობა რამდენ ხანს გასტანს და ითამაშებს თუ არა გოგუა თურქეთთან.

დავით თავართქილაძე

geo_geo_fan@hotmail.com

მოკლედ, დავმარცხდით...

განწყობაც მაინცდამაინც ხალისიანი ვერ გვაქვს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ, რაკი წავაგეთ, არაფერი ვთქვათ. პირიქით, წაგებული თამაშის მერე გროვდება სათქმელი, თუ გროვდება.

პირველი წერილი, რომელიც მატჩის დასრულებიდან რამდენიმე წუთში მივიღეთ, ძალიან მოკლეა.

ALAVIDZE: *ეს რა გვიქნეს!!! არ მოველოდი!!!*

გულახდილად გითხრათ, არც მე ველოდი, მაგრამ ამ ორ დღეში უამრავმა ნაცნობმა მითხრა, აბა, რას ელოდიო. არა მგონია, ისინი მართლები იყვნენ.

ჩვენი მომდევნო წერილი კი გვარიანად მოზრდილია და ავტორი წაგების მიზეზების გაანალიზებას ცდილობს.

ZURA_GOTSIRIDZE: *გამარჯობა!*

დღეს მომხდარი არც ტრაგედიაა და არც ჭკუის სასწავლებელი. ტრაგედია იმიტომ, რომ საბერძნეთი მართლა არ გამხდარა ტყუილად ევროპის ჩემპიონი. ხოლო ჭკუის სწავლა ვფიქრობ, უკვე გვიანია. უფრო სწორად, გვიანი კი არაა, იმ გაგებით, რომ ანი რალა გვეშველება და ასე შემდეგ... უბრალოდ, თუ რამე ზომების მიღება შეგვეძლო და გვინდოდა, დიდი ხნით ადრე უნდა გაგვეკეთებინა. ჟირესი, ძმაო, არაა მწვრთნელი. უფრო სწორად, მწვრთნელი კია, მაგრამ...

მოდით, ცივი გონებით შევხედოთ, რა გზა გაიარა აქამდე ნაკრებმა:

1) კრი ზისში მყოფ თურქეთთან, რომელიც მთელი ტაიმი კაცნაკლული იყო, გამბედავი სტრატეგი თამაშს მოიგებდა. ვიყოთ ალალები და ვთქვათ, რომ გაგვიმართლა, თორემ იმ თამაშსაც წავაგებდით. თამაშს, რომელიც ყველამ ვიცით, რომ წაგვეგო, წავაგებდით სხვებსაც, წინასწარვე, ფსიქოლოგიურად.

2) მოვიგეთ ალბანეთთან... აქ მგონი, კომენტარი ზედმეტი უნდა იყოს.

3) უკრაინა: წავაგეთ, მაგრამ ღირსეულად? რას ნიშნავს ღირსეულად წაგება, ჩემთვის გაუგებარია. იმას, რომ 0:5 არ წავაგეთ?! იმას, რომ მოგება შეგვეძლო? მერამდენედ?! ცოტა ხომ არ გაიცვითა ეს ყველაფერი...

4) დანიასთან ღმერთმა გადმოგვხედა! გაიხსენეთ მსაჯი! რომ არველაძეს და დემეტრაძეს რომ ჰქონდათ მომენტი, ბევრს არ ნიშნავს. ხომ ვერ გამოიყენეს?! მომენტს, გამოყენება უნდა. ამიტომაც, არ ვართ ჩვენ იტალია და, თუნდაც, სლოვენია.

5) ა, ბატონო, საბერძნეთი და ჟირესის სიბეცის დამადასტურებელი რამდენიმე მაგალითი: ა) რა უნდა ძირითადში არველაძე-დემეტრაძეს, როცა იაშვილი და აშვეთია სკამზე ზიან? ბ) რატომ ლომაია? როცა არ უთამაშია ამდენი ხანი, დევაძე კი მშვენივრად ირჯებოდა. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ მეკარე რა შუაშიაო. ვუპასუხებ: ფეხბურთი ცრურწმენებითაა დახუნძლული. გაგიმართლებს ერთი მეკარით? გყავდეს!!! თანაც ლომაიას კლასს ვერ ვხედავ. პირველივე მომენტში შეეტყო, რომ უთამაშებელია, კარი დაკარგა. გ) დავანებოთ თავი შემადგენლობას. ასეთი შანსი მოგვეცა, გოლი გავიტანეთ. უნდა მოეხვიათ თავიანთი თამაში (რომელიც არა აქვთ, იმიტომ, რომ ჟირესს ამაზე არ უფიქრია), ტემპი დაეგდოთ, ცენტრი დაეჭირათ. ასათიანი, რომელიც ცუდად გამოიყურებოდა, უკან დანეულიყო, გამოსულიყო ბურდული და კობი ცენტრში გადასულიყო. მოკლედ, იყო ვარიანტები. ამათ კი შეუტიეს (რაც ბერძნებს უნდოდათ) და რაც გვიყვეს, ნახეთ.

ეგ არაფერი, ამ ჯგუფიდან მაინც ვერ გავალთ და ჯობია, ახლა კოეფიციენტის დაგროვებაზე გადავიდეთ. თურქებთან შეიძლება მოვიგოთ კიდეც, კაი ნაგავი გუნდია. ისე საიდან ამდენი ამპარტავნობა, არ ვიცი. რატომ უნდა მოგვეგო ვითომ? ფრე! აი, რა გვინდოდა! მაგრამ გუნდი, რომელსაც ტაქტიკა საერთოდ არა აქვს, „კასპაროვის ტიპის" გუნდს ვერასდროს მოუგებს. ისე ძოძუაძვილი არსებობდეს და ჟირესი იყოს ჩვენი მწვრთნელი?! მეტის ღირსები ვართ. სანამ საქართველოს არ ექნება ადამიანური ჩემპიონატი, წარმატებაზე ფიქრი, გამორიცხულია, ან ჰა-ჰა, რეჰაგელი მაინც გვინდა. თურქეთთან წესით არ უნდა წავაგოთ... ყველაფერს თავი დავანებოთ და, თურქეთთან მოგება ჯგუფიდან გასვლაზე ნაკლებად არ გამიხარდება. მაინც მადლობა ბიჭებს... და ხალხს...

გულახდილად გითხრათ, მიხარია, ასეთი წერილები რომ მოდის. არ აქვს მნიშვნელობა, მასში გამოთქმულ მოსაზრებებს ვეთანხმები თუ არა — მთავარია, სხვა გულშემატკივრებს ბჭობის საბაბს აძლევს. ჰოდა, შეგიძლიათ, მოგვწეროთ, ZURA_GOTSIRIDZE-ის წერილში მოყვანილ მოსაზრებებს ეთანხმებით თუ არა. თუ ეთანხმებით, რატომ და, პირიქით.

მომდევნო წერილი კი ჩვენმა მუდმივმა ავტორმა გამოგვიგზავნა.

MEZVRO: *გულ ზე ვარ გახეთქილი და არა მარტო წაგების გამო... ბევრი გვიკლია ნორმალურ ყოფამდე. იმიტომ, რომ თავად ვართ არანორმალურობას შეჩვეულები. სტადიონის ყოველი მეორე კარი დაკეტილია, გაცოფებული ჯგრო, ადამიანურად ვერ შეხვიდოდი. სანამ თამაში დაიწყო, ხალხს ნერვები ჰქონდა დაწყვეტილი. ეს ფედერაცია ხომ სულ გადაირია ამ ბილეთების ფასებით. სტადიონი უბილეთოებით გაივსო, თორემ დარჩებოდა სანახევროდ ცარიელი ტრიბუნა. 1:0 და, თითქოს ყველაფერი იდეალურადაა, მაგრამ ეს დაწყევლილი ბოლო წუთის სინდრომი. არველაძის ერთი ცუდად მოქნეული ფეხი გოლად დაგვიჯდა, რომელსაც მეორე მოჰყვა. ეგეც ხომ ჩვენი სენია, ველარ გამოვდივართ შოკიდან. მეორე ტაიმში გუნდს არ ეტყობოდა, რის ხარჯზე აპირებდა თამაშის შემოტრიალებას და ვერც შემოვატრიალეთ. იქით მივიღეთ გოლი. ეგ კაი, ფეხბურთელებს შეეშალათ და ვერ ააწყვეს თამაში. ხომ არ შეიძლება, ერთი თამაშით ტრაგედია შეიქმნას და ასე წაგების გამო საკუთარ გუნდს თავზე დააყარო ყველაფერი და გინებით აიკლო?! გულშემატკივარი ტყუის, თან ძაან ტყუის, 20 წუთით ადრე რომ ტრიბუნები იცლება, ამაში ტყუის. არ შეიძლება მარტო ლხინში გვერდში დგომა. დანიასთან ფრემ ამდენი ხალხი მოი ზიდა სტადიონზე და რახან ბერძნებს ვერ ვუგებთ, ზურგი ხომ არ უნდა შეაქციო?! არ ვიცი, თურქებზე (თუ ისედაც დისკვალიფიკაია არ მისცეს სტადიონს) საერთოდ ვინმე თუ მივა და ეს კიდევ ერთი დიდი შეცდომა იქნება. აუ, რა გაბრაზებული ვარ... ერთი სწორად ფეხის მოქნევა და შეიძლება სულ სხვა განწყობით მენერა ახლა. ტაიმის 1:0 მოგების შემდეგ რა იცი, ბერძნები ან გაქვითავდნენ ან ვერა. მგონი, უფრო ვერა. კარგად.*

ფედერაცია ცუდად მუშაობს, გულშემატკივარიც ტყუისო — გვწერს MEZVRO და ამ საკითხზე საკუთარ მოსაზრებას ხვალინდელ გაზეთში მოგახსენებთ. აქ კი ერთს ვიტყვი — დიახ, გულშემატკივარი (მაინ ნახევარი მაინც) ტყუის, ფედერაცია კი ცუდად მუშაობს... მაგრამ ამაზე ხვალ. იქამდე კი დაგემშვიდობებით და ბოდიშს ვუხდი იმ წერილების ავტორებს, რომელთა დაბეჭდვაც დღეს ვერ მოვახერხეთ. ხვალისთვის იყოს. ისე კი, სათურქეთო წერილებიც რომ მოიწეროთ, ურიგო არ იქნება.

WEB-ოსტატი ბუარა

გიო ახვლედიანის სვეტი

დაკარგული სამოთხე

აი, რა ამბავი დაგვემართა.

ეს სამყვარულო ისტორიაა, უცებ რომ წახდები.

ძლივს, გაჭირვებით შეკრებილი თერთმეტი ფეხბურთელი და თამაში ბერძნებთან.

ისევ ბოთლები და ისევ გინება. დაახლოებით ისე, როგორც იყო სულ პირველ თამაშში, მოლდოვის წინააღმდეგ. რომელი წელი იყო, მნიშვნელობა არა აქვს. „კოკა კოლას" ბოთლები კი იყო.

და ისევ სიბნელე და საფეხბურთოდ გამოშვებული შუქი.

საქართველო ახლა ბევრად უკეთესი გუნდია, ვიდრე მაშინ. 42 წუთი საუცხოოდ ითამაშა. ოღონდაც, ისევე, როგორც მაშინ, საქართველომ ახლაც არ იცის, როგორ მოიგოს გადამწყვეტი თამაში. ტაქტიკაც აქვს, მწვრთნელის დავალებასაც ასრულებს, ოღონდ ვერაფერს უხერხებს იმ წამს, რომელიც ყველაფერს წყვეტს.

დღეს ასეა, რომ მოგებული ისაა, ვინც უკეთ იყენებს მეტოქის შეცდომას.

ახლა აქა-იქ ჭორი მოძრაობს, ალენ ჟირესის დათხოვნას აპირებენო. ჭორი გახლავს და თავს ვერავინ დადებს სინამდვილეზე. მე კიდევ მგონია, რომ ჟირესის გაშვება წანსვლაზე უარის თქმას ნიშნავს.

თუნდაც იმიტომ არ შეიძლება ჟირესის გაშვება, რომ გოგიტა გოგუასნაირი ფეხბურთელი მცოდნე კაცის ხელში იყოს წელიწადში 5-6-ჯერ და სანაკრებო ამბავში იზარდოს. კარგი, ეს ყურმოკრულია და იქით იყოს. სწორედ ჩვენი თამაში რომ მორჩა, ერთმა ამხანაგმა დარეკა შორიდან, ინგლის — ჩრდილოეთ ირლანდიას ესწრებოდა მანჩესტერში და ჩვენი ანგარიში აინტერესებდა. ატმოსფეროა ისეთიო, რომ გული ამიჩქარდაო, ამ ჩრდილოირლანდიელებსაც როგორი გულშემატკივრობა სცოდნიათო. ძალიან შემშურდა, იმიტომ, რომ ვიცი, როგორი იციან. იქ არ აგინებენ თავისიანებს. ჩვენთან კიდევ...

კარგი, ბიჭებმა წააგეს. მაზეგ ისევ მოხვალ და თუ მოიგეს, ქებას დაუწყებ?

ჩვენთან, იცით, როგორ არის? კასტაა გულშემატკივრების ეგეთი, პირად განცდას უკავშირებენ ფეხბურთს. ამიტომაც, არანაირი ერთგულება გუნდის მიმართ. მხოლოდ რაღაც პირადი კმაყოფილების როგორმე მოპოვება.

ვინ ფიქრობს ახლა თურქებთან თამაშზე?

მგონი, მხოლოდ მწვრთნელი და გუნდი.

არადა, ყველა უნდა ფიქრობდეს, ვისაც თავისი გუნდი უყვარს და არა საკუთარი თავი სტადიონზე. ნაკრების გზა კი ბევრად მძიმე ჩანს, ვიდრე თავიდან გვეგონა. ლამის ჩვენი ენერგეტიკასავითაა.

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I I შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეზობლები

ასიანი რუშთუ

ჰამიტ ალტინტოპმა (შუაში) და მისმა თანაგუნდელებმა ალბანეთთან მოგებით სათბილისო განწყობა გამოიკეთეს

თურქეთი 2:0 ალბანეთი

1:0 ნეჯატი ათეში (3პ), 2:0 ე. ბეჩირი (5 ს.კ.)

თურქეთი: რუშთუ, ავჩი, სერქანი, უმით ოზატი, ტოლგა, ბაშთურქი, ემრე (ბიულენთი 84), იბრაჰიმი, ჰამიტ ალტინტოპი (კარადენიზი 76), ნეჯატი ათეში, ფათიჰ თექე (აიჰანი 63)

მწვრთნელი: ერსუნ იანალი

ალბანეთი: ლიკა, ე. ბეჩირი, დალკუ, ჰასი, ლალა, ჩანა, დურო (ბუში 79), შკელა, ბოგდანი, ტარე, ალიაი

მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ბრიგელი

„ეს დროშა არ დაეშვება“ — წერს გაზეთი „ფანატიკი“. სტამბოლში, „ინონუზე“, 32 ათასი ვარსკვლავ-მთვარიანი წითელი ბაირაღი ფრიალებდა. თურქებმა კი ალბანეთს მისალმებისთანავე ორი გოლი გაუტანეს და ყველაფერი დასაწყისშივე დაამთავრეს.

ეროვნულ ნაკრებში მეასე მატჩი ითამაშა თურქთა მეკარე რუშთუ რეჩბერმა, რომელიც თვით ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა დააფასა და საჩუქარი უფეშქაშა.

მასპინძელთა მწვრთნელმა ერსუნ იანალმა უკრაინასთან წაგებული შეხვედრის შემდეგ შემადგენლობა საგრძნობლად შეცვალა. სერვეთი და ნიჰათი ტრავმირებულნი არიან, ოკანი, გიოკდენიზი და ჰუსეინი კი სათადარიგოებში გაამწესა. დაცვაში გამოჩნდნენ ბეშიქთაშელი იბრაჰიმ ტორომანი და ფენერბაჰჩელი სერკან ავჩი, ნახევარდაცვაში კი ილდირაი ბაშთურქი და ჰამიტ ალტინტოპი, ხოლო შეტევის ხაზი ტრაბზონსფორელი ფათიჰ თეკეს და „გალათასარაის“ ახალგაზრდა ფორვარდ ნეჯატი ათეშს ანდეს.

თურქები უმალ მიაწყდნენ მეტოქის საჯარიმოს და პენალტი მოინადირეს, რომელიც „გალას“ ყმაწვილკაცმა ნეჯატიმ შეირგო და ანგარიში გახსნა. გოლიდან ორ წუთში ილდირაის ჩაწოდებული ბურთი ალბანელთა მცველ ბეჩირის მოხვდა და სტუმართა დაბნეული მეკარის, ლიკას კარში აღმოჩნდა.

ასეთი დასაწყისის მიუხედავად, ალბანელები გონს მოეგნენ და პირველი ტაიმის მიწურულს „ასიანი“ რუშთუ კარის ჩარჩომ იხსნა — კუთხურიდან თურქთა საჯარიმოში ჩაფრენილ ბურთს ბოგდანმა თავი მიჰკრა და ძელი შეატოკა. ბოგდანს იღბალმა მეორე ტაიმის მე-60 წუთზეც უგანა. მისი თავურის შემდეგ კვლავ ძელი შეზანზარდა. იუბილარი რუშთუ ერთხელ შეცდა და ამჯერად იგი მცველმა კორაი ავჯიმ დააზღვია.

ამ მომენტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ალბანელები ყოჩაღად გამოიყურებოდნენ, თურქები კი ორგოლიანი უპირატესობის შენარჩუნებას და კონტრშეტევებზე თამაშს ცდილობდნენ.

ერსუნ იანალმა შესვენების შემდეგ ერთი ფორვარდი, ფათიჰ თექე ნახევარმცველ აიჰან აქმანით შეცვალა, მერე კი ჰამიტ ალტინტოპიც გაიყვანა და ტრაბზონსფორელი მეგოლე გიოკდენიზ კარადენიზი შეუშვა.

ალბანელები თამაშის მიწურულსაც უტევდნენ, თურქებმა კი ორჯერ კარგი მომენტი ჩააფლავეს. ჯერ ილდირაი ბაშთურქმა ვერ აჯობა მეკარეს, მატჩის ბოლო წუთზე კი ლიკამ პირისპირ გასულ გიოკდენიზსაც არ დაანება გატანა.

ვაჟა ხუციშვილი

ალბერტ ალექსანდრიას ფოტო

ცხადაძე ოფიციალურად არ გაცხადებულა

თბილისის „დინამოს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს — კახა ცხადაძე, ვისაც დიდი წარდგენა, ვფიქრობ, არ უნდა სჭირდებოდეს.

კახა ცხადაძე ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების თავკაცად დაინიშნა, ახლა კი ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბის მწვრთნელობა შესთავაზეს.

თბილისის „დინამოს“ მმართველი დირექტორის დავით პეტრიაშვილის უცხოეთიდან ჩამოსვლამდე ეს საკითხი ოფიციალურად ჯერ დაუმტკიცებელია, მაგრამ... ოფიციალურ პრეზენტაციამდეც შეგვიძლია ვთქვათ: „დინამოს“ მწვრთნელი კახა ცხადაძეა.

კობა ინასარიძე

პატარებმა დიდებამდე საშინაო დავალება მოამზადეს

შაბათს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა განახლებული შემადგენლობით და ახალი მწვრთნელით პირველი ამხანაგური მატჩი ჩაატარა — სტადიონ „ოლიმპზე“ კახა ცხადაძის გუნდის მეტოქე „თბილისი“ გახლდათ.

მატჩი 1:1 დასრულდა. პირველ ტაიმში გოლი თბილისელმა გოგი ფიფიამ გაიტანა, შესვენების მერე კი მთავარი მწვრთნელის შვილის, ბაჩო ცხადაძის პასით რევაზ ბარაბაძემ თავისსავე კლუბს გაუტანა.

თამაში პირველ ტაიმში უფრო ლაღი და საინტერესო იყო. ცხადაძის გუნდს ორი ნაღდი მომენტიც ჰქონდა. ჯერ ამერელი რატი წინამძღვრიშვილის პასით მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ლოკომოტიველმა გიორგი ალავერდაშვილმა ვერ გაიტანა, მერე კი იმავ ალავერდაშვილმა ძელს გაარტყა და წინამძღვრიშვილი ჯერარ შეწვდა გადმოვარდნილ ბურთს.

შესვენების მერე კი საპასუხო გოლის გარდა საინტერესო აღარიც არაფერი მოძრაობდა.

19-წლამდელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *რევიშვილი, მიმინოშვილი, ქორიძე, ელბაქიძე, მაჭავარიანი, კახელიშვილი, ბოჭორიძე, განუგრავა, კობახიძე, ალავერდაშვილი, წინამძღვრიშვილი.* შეცვლაზე შეკიდნენ: *ალავიძე, თევდორაძე, ლომიძე, კაკაბაძე, დევდარიანი, ყიფიანი, მახარაძე, ჩაჩიბაია, ბარაბაძე, ბ. ცხადაძე, ტურაშვილი.*

კოტე კეკელია

ოლსენის დაგეგმილი ვარჯიში

პეტერ მიოლერმა ყაზახები დახვრიტა

დანია 3:0 ყაზახეთი

1:0 მიოლერი (8), 2:0 პოულსენი (34), 3:0 მიოლერი (47)

დანია: სორენსენი, პოულსენი, პრისკე, ლაურსენი, ნ. იენსენი, ჰელვეგი, დ. იენსენი (კ. იენსენი 46), გრონკიაერი (სილბერბაუერი 73), ტომასონი (პერესი 46), იორგენსენი, მიოლერი

მწვრთნელი: მორტენ ოლსენი

ყაზახეთი: ნოვიკოვი, ბალტიევი, ავდეევი, სმაკოვი, კარპოვიჩი, ჩიჩულინი (ლარინი 46), ლიაპკინი, ფამილცევი, ტრავინი (ბაიუანოვი 56), როდიონოვი, უტაბაევი (დუბინსკი 78)

მწვრთნელი: სერგეი ტიმოფეევი

ნაკრებში შემთხვევით მოხვედრილმა 32 წლის პეტერ მიოლერმა შავი დღე აყარა ყაზახებს და დუბლიც მიითვალა. შემთხვევით კი იმიტომ, რომ მორტენ ოლსენმა მიოლერი პეტერ მადსენის ტრავმის გაშო მიიწვია. „კოპენჰაგენის“ ფორვარდმა უკვე მე-8 წუთზე მარტინ იორგენსენის ჯარიმიდან ჩაწოდებული ჩალურსმა კარში, ხოლო მეორე ტაიმის დასაწყისში ბრაიან პრისკეს „დახატული“ პასი გამოიყენა. მიოლერს ჰეთ-თრიქის გახერხებაც შეეძლო, მაგრამ სტუმართა მეკარე იური ნოვიკოვმა სასწაული ბურთი აუღო.

მიოლერის გოლებს შუა კრისტიან პოულსენმაც გაიტანა. ლევან კობიაშვილის შალკელმა თანაგუნდელმა იესპერ გრონკიაერის პასს დაჰკრა თავური და შესვენებისთვის „დინამიტები“ უკვე 2:0 იგებდნენ. სხვათა შორის, ეს პოულსენის პირველი სანაკრებო გოლია.

სამი ფორვარდით მოთამაშე დანიელები მთელი მატჩის განმავლობაში ბომბავდნენ წყალწაღებულ ყაზახეთს და სტუმართა ბედი, რომ ნოვიკოვი აქეთ-იქით ხტუნვის იშტაზე იყო — მან იორგენსენი, გრონკიაერი, ტომასონი და პერესი გაამწარა.

თავის მხრივ, სერგეი ტიმოფეევის ბიჭებმა ერთი-ორჯერ გაიწიეს დანიელთა კარისკენ, ერთხელ კაირატ უტაბაევმა ძელს მოარტყა ბურთი, ერთხელაც ტომას სორენსენმა აუღო რუსლან ბალტიევს.

სკანდინავიელებმა რომ საუკრაინო მატჩისთვის აშკარად ძალები დაზოგეს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მორტენ ოლსენმა მთავარმეგოლე იონ დალ ტომასონი შესვენებისას შეცვალა. ოლსენმა ნამატჩევს საგულისხმო მხოლოდ ეს თქვა: „გონებით უკვე კიევში ვართ, უკრაინელებს დიდი ბრძოლა უნდა გავუმართოთ.“

ტიმოფეევმა კი მოკლედ მოჭრა, ჩვენ ისევ ვსწავლობთ და საქმეც იქითკენ მიგვყავს, რომ მომავალი შესარჩევი ციკლისთვის ახალგაზრდა ფეხბურთელები დავაღვინოთ და უკეთესი შედეგები ვაჩვენოთო.

ამ მოგებით დანიამ 9 ქულას მოუკრა პირი, ამდენივე აქვს თურქეთს და ისინი მესამე-მეოთხე საფეხურებზე დგანან. ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ, თორემ „დინამიტებმა“ მუნდიალისკენ უკვე დიდი ნაბიჯი წადგეს...

ილია ნანოგაჯვილი

ბაჩო ჯიბლაძის ფოტო

რატი წინამძღვრიშვილი ჩვეულად მწვავედ უტევდა

რეკლამა
სარბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

პირველი წუთიდან დაპყრობილი ბუქარესტი

I ჯგუფი

რუმინეთი 0:2 ჰოლანდია

0:1 კოკუ (1), 0:2 ბაბელი (84)

რუმინეთი: ლობონტი, ოგარარუ, მარინი, გიოანე (პლესანი 46), კიუ, რადოი, პეტრე, მუნტიანუ, მოლდოვანი (კრისტია 70), პანჩუ, ილიე

მწვრთნელი: ვიქტორ პიცურკა

ჰოლანდია: ვან დერ სარი, კრომკამპი, ბულარუზი, მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი, ლანძაატი, კუიტი (კასტელენი 88), ვან ბომელი (მადურო 73), ვან ნისტელროოი, კოკუ, რობენი (რ. ბაბელი 25)

მწვრთნელი: მარკო ვან ბასტენი

მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

19 000 მაყურებელი

ჰოლანდიის ნაკრებმა ბუქარესტში ძალიან კარგი ფეხბურთი ითამაშა და მოიგო კიდეც, მაგრამ არიენ რობენი დაუშავდა. სტუმართაგან გოლები გაიტანეს ვეტერანმა ფილიპ კოკუმ და 18 წლის რაიან ბაბელმა, რომელმაც ზემოხსენებული რობენი შეცვალა.

„ჯერჯერობით ზუსტად არ ვიცი, რამდენად სერიოზულია რობენის ტრავმა, თუმცა ერთი შეხედვით მართლა ტოვებს სერიოზულის შთაბეჭდილებას — განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „ნარინჯისფერთა“ მწვრთნელმა მარკო ვან ბასტენმა, რომელმაც, შემდეგ ყურადღება პირველივე წუთზე გატანილ გოლზე გაამახვილა — გოლის თამაშის დასაწყისშივე შეგდება ძალიან კარგია. ეს საკუთარი თავის რწმენას გმატებს და მეტოქეზე ადრე ერთვები შეხვედრაში. ჩვენი გოლის შემდეგ რუმინელებს წინ წამოსვლა და ზურგის მოშიშვლება მოუხდათ. მეორე მხრივ, მათმა შეტევებმა ჩვენ დაცვაზე გადაწყობისკენ გვიბიძგა, რასაც ბუნებრივია დრო დასჭირდა, მაგრამ საბოლოოდ დავლაგდით და რაც გვინდოდა, მივაღწიეთ კიდეც.“

რუმინელთა თავკაცმა ვიქტორ პიცურკამ თავის მხრივ განაცხადა, რომ ჰოლანდიამ დამსახურებულად გაიმარჯვა.

ბაჩუნა ძიდია

სომხეთი 2:1 ანდორა

1:0 ჰაბოიანი (32), 1:1 ფ. სილვა (57), 2:1 ხაჩატრიანი (83)

ჩეხეთი 4:3 ფინეთი

1:0 ბაროში (7), 2:0 როსიცკი (34), 2:1 ლიტმანენი (46), 3:1 პოლაკი (58), 3:2 რიიჰილაჰტი (73), 3:3 ჯ. იოჰანსონი (79), 4:3 ლოკვენცი (87)

ჰოლანდია	5	4	1	0	12:3	13
ჩეხეთი	5	4	0	1	10:5	12
რუმინეთი	6	3	1	2	10:7	10
ფინეთი	6	3	0	3	13:10	9
მაკედონია	6	1	2	3	6:7	5
სომხეთი	6	1	1	4	4:13	4
ანდორა	6	1	1	4	3:13	4

შემდეგი ტური: 30 მარტი

ანდორა — ჩეხეთი

მაკედონია — რუმინეთი

ჰოლანდია — სომხეთი

როცა ფრანგული ვეღარ ჭრის
იყო ზიდანი, გახდა ანრი

IV ჯგუფი

საფრანგეთი 0:0 შვეიცარია

საფრანგეთი: ბარტეზი, სანიოლი, ბუმსონგი, გივე, გალასი, ვიეირა, პედრეტი, ჟიული, დორასო (მერიემი 59), ტრეზეგე, ვილტორდი (გოვუ 82)

მწვრთნელი: რაიმონ დომენეკი

შვეიცარია: ცუბერბიულერი, დეგენი, სენდეროსი, პ. მიულერი, შპიხერი, ლონფატი (ჰუგელი 28), ფოგელი, გიგაქსი (ანშო 90), კაბანასი, ციგლერი, ა. ფრეი

მწვრთნელი: იაკობ კუნი

მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)

79 373 მაყურებელი

შაბათის „სარბიელის“ ამ მატჩის ანონსში შვეიცარიის ნაკრებს სოლიდური გუნდი ვუწოდეთ და მართალიც გამოვდექით: „სტად დე ფრანსზე“ ფრანგებმა მათ ხელთ არსებულ ყველა ღონეს მიმართეს, რათა ცხრილში სამი ქულა მიემატებინათ, მაგრამ სტუმრების კედლად ამოშენებულ დაცვას ვერფერი მოუხერხეს.

ფილიპ დეგენს და შვეიცარიელებს მასპინძლებმა ვერაფერი დააკლეს

REUTERS მარი ბიდერ

გოლის არგაშვება და მატჩის ფრედ დასრულება, მართლაც რომ ჩვეული საქმე გახდა გუნდების უმეტესობისთვის — სტატისტიკა გვამცნობს, რომ შვეიცარიის ნაკრებმა უკვე ზედიზედ მეექვსე ფრე ითამაშა.

რაც შეეხება საფრანგეთის ნაკრებს, ამ გუნდს, ევროპის ჩემპიონატზე ბერძნებთან დამარცხების და შეჯიბრებიდან გამოთიშვის შემდეგ, შინ კვლავ არ მოუგია. შეგახსენებთ, რომ მომდევნო თამაში „ლურჯებს“ ისრაელში აქვთ, ხოლო ისრაელი ის გუნდია, რომელიც ფრანგებთან თანაბარი ქულითაა და მეტოქის დასამარცხებლად სრულიად ხმამაღლა ემზადება.

შვეიცარიელების წინააღმდეგ ფრანგებმა დიდი მონდომება კი გამოამჟღავნეს, მაგრამ ფანტაზია აკლდათ. ნიშანდობლივია ისიც, რომ ადრე, ასეთ შემთხვევებში, მიმომხილველები მიზეზს ზინედინ ზიდანის არყოფნაში ან ცუდ ფორმაში ეძებდნენ. ახლა კი, მას მერე, რაც ზიდანმა ნაკრებში თამაშს თავი დაანება, იმავე მიმომხილველებმა მიზეზად ტიერი ანრის არყოფნა მიიჩნიეს — მოგეხსენებათ, ლონდონის „არსენალის“ ფორვარდი დაშავებულია და თავისიანთა „საცოდაობასაც“ „სტად დე ფრანსის“ ტრიბუნიდან უცქირა.

გოლის გატანის ყველაზე რეალური შანსი მასპინძლებს 22-ე წუთზე ჰქონდათ, მაგრამ პატრიკ ვიეირამ შვეიცარიელი მცველის საჩუქარი ვერ შეიშნო და ახლოდან კარს აცილა.

იყო კიდევ ერთი ძალიან სახიფათო მომენტიც: 52-ე წუთზე სილვენ ვილტორდმა სტუმრების მეკარე პასკალ ცუბერბიულერს კი აჯობა, მაგრამ დარტყმა ისევ მიზანს აცილებული გამოუვიდა.

შვეიცარიამ საფრანგეთთან, მოგეხსენებათ, ევროპის ჩემპიონატზე, ჯგუფში 1:3 წააგო, ახლა კი დაამტკიცა, რომ მას მერე, რამდენიმე თვეში, კიდევ უფრო შორს წასულა განვითარების გზაზე.

ფრანგთა ცნობილმა მეკარემ, ფაბიენ ბარტეზმა სამ დრამატულ მომენტში იხსნა კარი, მათ შორის მე-40 წუთზე, როდესაც ნახევარმცველ რიკარდო კაბანასს ახლოდან დარტყმული სასწაულებრივ არ გაატანინა.

ამ შეხვედრიდან კიდევ იმის გახსენება შეიძლება, რომ დავიდ ტრეზეგემ 76-ე წუთზე ჩინებული სვლა შესთავაზა მაყურებელს, ხოლო თამაშის მიწურულს ფრანგებს აშკარად დაეტყოთ დაღლა.

„ჯერ კიდევ არ ჩამოვრჩენილვართ რბოლას — განაცხადა მატჩის შემდეგ „ლურჯების“ მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა — თუმცა, მეორეს მხრივ, ახლა უკვე ნათელია, რომ საბოლოო წარმატებისთვის ყველა დარჩენილი თამაში უნდა მოვიგოთ, რომელთა შორის გადამწყვეტი ბაზელში გაიმართება. ჩვენ იმედგაცრუების უფლება არ გვაქვს.“

პაპუნა ძედია

ისრაელი 1:1 ირლანდია

0:1 კ. მორისონი (4), 1:1 სუანი (90)

ირლანდია	5	2	3	0	7:2	9
საფრანგეთი	5	2	3	0	4:0	9
ისრაელი	5	2	3	0	7:5	9
შვეიცარია	4	1	3	0	9:3	6
კვიპროსი	5	0	1	4	4:11	1
ფარერები	4	0	1	3	2:12	1

შემდეგი ტური: 30 მარტი

შვეიცარია — კვიპროსი

ისრაელი — საფრანგეთი

სახეზე გატყობთ კმაყოფილებას...
პირლომ შოტლანდია დააჯარიმა

V ჯგუფი

იტალია 2:0 შოტლანდია

1:0, 2:0 პირლო (35, 85)

იტალია: ბუფონი, ბონერა, ფ. კანავარო, მატერაცი, კიელინი, კამორანეზი, გატუზო, პირლო, ტოტი (დე როსი 72), ჯილარდინო, კასანო (ტონი 83)

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

შოტლანდია: დუგლასი (გორდონი 59), მაკნამარა, პრესლი, ვეირი, ნეისმიტი, ბ. ფერგიუსონი, ჰარტლი (ს. კროუფორდი 75), გ. კოლდუელი, ქენში, მაკკალოხი, კ. მილერი (გ. ოკონორი 86)

მწვრთნელი: უოლტერ სმიტი

მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

40 745 მაყურებელი

როგორც მოსალოდნელი იყო, „სკუადრა აძურამ“ შოტლანდიის წინააღმდეგ სამი თავდამსხმელით ითამაშა. ნამდვილად ვერ ვიტყვით, ამ ტაქტიკამ ვერ გაამართლაო — იტალიელები ცოცხლად გამოიყურებოდნენ და ძირითადად შეტევებზე ფიქრობდნენ, თუმც ისიც ფაქტია, რომ ვერც ერთმა ფორვარდმა თავის გამოჩენა ვერ შეძლო.

მასპინძლები პირველივე წუთიდან დაეუფლნენ უპირატესობას. აქტიურობდა ფრანჩესკო ტოტი, ხოლო გოლის გატანა ჯორჯო კიელინის, ანტონიო კასანოსა და ალბერტო ჯილარდინოს შეეძლოთ.

ლიპის შეგირდებმა საწადელს 35-ე წუთზე მიაღწიეს — მილანელმა ანდრეა პირლომ ჩინებულად შეასრულა საჯარიმო დარტყმა და რობერტ დუგლასი უშანსოდ დატოვა. აღსანიშნავია, რომ აქედან ორ წუთში ეს უკანასკნელი დაშავდა და მის ნაცვლად კარში 22 წლის კრეიგ გორდონი ჩადგა.

შესვენებამდე იტალიელებს კიდევ არაერთი შანსი ჰქონდათ, რათა მატჩის ბედი საბოლოოდ სათავისოდ გადაეწყვიტათ, მაგრამ ბოლო მომენტში ვერ აგვირგვინებდნენ. თუმც ტაიმის მიწურულს, ტოტი უბრალოდ, ვალდებულიც იყო, თითქმის ასპროცენტიანი საგოლე შანსი გამოეყენებინა, მაგრამ „რომას“ კაპიტანმა დაახლოებით შვიდი მეტრიდან ბურთი კარისზემოთ საკმაოდ გადააცილა.

აღვნიშნოთ ისიც, რომ სტუმრებმა ბუფონის კარამდე ბურთი პირველად 44-ე წუთზე (!) მიიტანეს.

„სან სიროზე“ შეკრებილმა ქომაგებმა მეორე ნახევრის დებიუტშიც მშვენივრად მოთამაშე იტალია იხილეს, მაგრამ დაახლოებით მე-60 წუთიდან მასპინძლებს აშკარად დაეტყოთ დაღლა, რასაც ბრიტანელთა გააქტიურება მოჰყვა. შოტლანდიელებმა რამდენიმე საგოლე ეპიზოდი შექმნეს, მაგრამ ჯიჯი ბუფონი მოწოდების სიმაღლეზე იყო.

ამის მერე, გოლის გატანის არაერთი შანსი მასპინძლებსაც ჰქონდათ. განსაკუთრებით ალბერტო ჯილარდინოს, მაგრამ „პარმას“ ახალგაზრდა ფორვარდმა თავის გამოჩენა მაინც ვერ შეძლო.

ყველაფერი 85-ე წუთზე გადაწყდა, როდესაც იმავ პირლომ მეორედაც ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო დარტყმა.

ანდრეა პირლომ მშობლიურ „სან სიროზე“ იტალიას დუბლი გაუხერხა

REUTERS მაღაზინდან

„შედეგით, ცხადია, კმაყოფილი ვარ. პირველ ტაიმში განსაკუთრებულად კარგად ვითამაშეთ და ყველაფერი შესვენებამდე უნდა გადაგვეწყვიტა, მაგრამ ვერ შევძელით. სამაგიეროდ, პირლომ იფოჩალა და მოხარული ვარ, რომ საკმაოდ ორგანიზებული გუნდის ძლევა მოვახერხეთ“ — თქვა მარჩელო ლიპიმ, იტალიელთა მწვრთნელმა.

მატჩის გმირმა, ანდრეა პირლომ კი განაცხადა: „ძალიან გახარებული ვარ. გოლები ყოველთვის სასიამოვნოა, მაგრამ შენ მშობლიურ სტადიონზე და ასეთ მნიშვნელოვან მატჩში რომ გაიტან, განსაკუთრებით. მთლიანად გუნდმაც ძალიან კარგად ითამაშა. პირველი ტაიმი საერთოდ ჩინებული იყო“.

ჯანლუიჯი ბუფონი, მიუხედავად იმისა, რომ შოტლანდიელმა ფანებმა ერთ ეპიზოდში აურზაური და ჩხუბი ატეხეს, აღფრთოვანებული დარჩა სტუმართა ქომაგობით.

„სქოთი გულშემატკივრებისგან მაგალითი უნდა ავიღოთ. ჯერ ის არის აღსანიშნავი, რომ ბრიტანელებს ძალიან ბევრი ქომაგი ჩამოჰყვათ. თანაც მათ მთელი შეხვედრის მანძილზე სიმღერა არ შეუწყვეტიათ და ბოლო წამებამდე მხურვალედ უჭერდნენ მხარს თავიანთ გუნდს“ — თქვა ბუფონმა.

სტუმართა თავკაცი უოლტერ სმიტი კი გულგატეხილი იყო. შეგახსენებთ, რომ ეს „რეინჯერსისა“ და „ევერტონის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელის ოფიციალური სანაკრებო დებიუტი გახლდათ.

უოლტერ სმიტი: „ვფიქრობ, ძალიან არ გაგვიმართლა. მეორე ტაიმში საკმაოდ კარგად ვითამაშეთ და იღბალს ბოლომდე ზურგი რომ არ ექცია, უკეთეს და დამსახურებულ შედეგსაც მივაღწევდით“.

გიორგი ქაქაბაძე

იტალია	5	4	0	1	9:5	12
ნორვეგია	4	2	1	1	6:3	7
სლოვენია	4	2	1	1	4:3	7
ბელარუსი	3	1	1	1	8:5	4
შოტლანდია	5	0	2	2	1:4	2
მოლდოვა	4	0	1	3	1:9	1

შემდეგი ტური: 30 მარტი

მოლდოვა — ნორვეგია

სლოვენია — ბელარუსი

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

VI ჯგუფი

ინგლისი 4:0 ჩრდ. ირლანდია

1:0 ჯ. კოული (47), 2:0 ოუენი (52), 3:0 ბაირდი (54ს.კ.), 4:0 ლამპარდი (62)

ინგლისი: პ. რობინსონი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, ტერი, ე. კოული, ბექემი (კ. დაიერი 72), ჯერარდი (პ. არგრივსი 72), ლამპარდი, ჯ. კოული, ოუენი, რუნი (დეფო 80)

მწვრთნელი: სვენ-გორან ერიკსონი

ჩრდ. ირლანდია: მ. ტეილორი, ბაირდი, მარდოკი, ა. ჰიუზი, კაპალდი, გილესპი, ჯ. უიტლი (ჯონსი 88), ტ. დოჰერტი (სტივენ დევისი 60), ს. ელიოტი, დ. ჯონსონი, ჰილი (კირკი 88)

მწვრთნელი: ლორი სანჩესი

მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

65 239 მაყურებელი

თხუთმეტ წუთში ერიკსონმა, ვიცოდიო

REUTERS მაგრამ ტერრიდან

მაიკლ ოუენის დარტყმული ჩრდილოირლანდიელმა კრის ბაირდმა (№2) აისხლიტა და– ავტოგოლიც გამოცხვა

რა თქმა უნდა, ინგლისი მოუგებდა ჩრდილოეთ ირლანდიას მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე", ოლონდაც ეს საქმე გაუჭიანურდა და რომ არა ჯო კოულის ზღაპრული შეტევა, კაცმა არ იცის, როდემდე გაძლებდნენ ჩრდილოირლანდიელები.

ინგლისელთათვის უიღბლო და უსახური პირველი ტაიმის შემდეგ, 47-ე წუთზე, სწორედ კოულმა გატეხა იქამდე საუცხოოდ მოთამაშე ჩრდილოელთა მეკარე მაიკ ტეილორი. სწორედ ამ წუთიდან ახმაურდა „ოლდ ტრეფორდი" და მომდევნო 15 წუთში ინგლისელებმა კიდევ სამი გოლი გაიტანეს.

კოულმა, რომელიც პირველად იყო ნაკრების სასტარტოში, ნამატჩევს თქვა: „თამაში მომეწონა. ნაკრებში საქმე ისეა, რომ თავს მოდუნების უფლება არ უნდა მისცე. ოთხშაბათს აზერბაიჯანს ვეთამაშებით და ის თამაშიც უნდა მოვიგოთ".

ინგლისი ერთიან გუნდად გამოიყურებოდა მსაჯის პირველიდან ბოლო სასტვენამდე.

სხვა გოლები მაიკლ ოუენმა და ფრენკ ლამპარდმა გაიტანეს, ერთიც, ავტოგოლი გამოვიდა, უეინ რუნიმ კი ძელი დააზანზარა.

ჩრდილოირლანდიელებმა ინგლისელთა კარში პირველად 25-ე წუთზე დაარტყეს, მათი მეკარე ტეილორი კი ზედიზედ იგერიებდა ჯონ ტერის, ლამპარდის, რუნისა და დევიდ ბექემის დარტყმებს. თუმცა, ეს ყველაფერი პირველ ტაიმში იყო.

ინგლისელთა მენეჯერმა სვენ-გორან ერიკსონმა თქვა: „შესვენებაზე ბიჭებს მხოლოდ ის ვუთხარი, რომ ტემპი შეუნარჩუნებინათ. პირველი ტაიმი კარგი გამოგვივიდა, მაგრამ უგოლო. ვიცოდი, რომ გავიტანდით. ყველაზე უფრო კი ის მომეწონა, რომ ბურთი ბოლომდე გვეჭირა და პოზიციურად კარგად ვთამაშობდით. ჯო კოულს კი კარგად გამოსდის მარცხენა ფლანგზე თამაში".

ახლა ინგლისი სათავეში უდგას შესარჩევ ჯგუფს და ზეგ ელის ზედიზედ მეორე საშინაო თამაში უსუსტეს აზერბაიჯანთან, რომელსაც ინგლისელთა მადეკარმა პოლონელებმა შაბათს 8:0 მოუგეს.

ირაკლი გამყრელიძე

უელსი 0:2 ავსტრია

0:1 ვასტიჩი (82), 0:2 შტრანცლი (86)

პოლონეთი 8:0 აზერბაიჯანი

1:0 ფრანკოვსკი (12), 2:0 ჰაჯიევი (16ს.კ.), 3:0 კოსოვსკი (40), 4:0, 5:0 ფრანკოვსკი (63, 66), 6:0 კრეინოვეკი (71), 7:0, 8:0 საგანოვსკი (84, 89)

ინგლისი	5	4	1	0	11:3	13
პოლონეთი	5	4	0	1	18:5	12
ავსტრია	5	2	2	1	10:8	8
ჩრდ. ირლანდია	5	0	3	2	5:12	3
უელსი	5	0	2	3	5:10	2
აზერბაიჯანი	5	0	2	3	1:12	2

შემდეგი ტური

30 მარტი

პოლონეთი — ჩრდ. ირლანდია

ავსტრია — უელსი

ინგლისი — აზერბაიჯანი

ტრადიცია არ დაირღვა

სტოიჩკოვმა ლიუნგბერგს ვერ აჯობა



REUTERS სოფიიდან

ხრისტო სტოიჩკოვის ბულგარეთმა ფრედი ლიუნგბერგის შვედეთთან ისევ წააგო

VIII ჯგუფი

ბულგარეთი 0:3 შვედეთი

0:1 ლიუნგბერგი (17), 0:2 ედმანი (75), 0:3 ლიუნგბერგი (90ჯ)

გაძევება: მარკოვი (59, ბულგარეთი)

ბულგარელებს შვედებისთვის 1967 წლის მერე არ მოუგიათ. თანაც ბოლო ოთხ შეხვედრაში ერთი გოლიც ვერ შეაგდეს.

ხრისტო სტოიჩკოვსა და მის შეგირდებს, თქმა არ უნდა, ძალიან უნდოდათ ამ ტრადიციის დარღვევა. მატჩის დებიუტიც ოითქოს ამის მანიშნებელი იყო, მაგრამ...

როგორც უკვე გითხარით, მასპინძლებმა მშვენივრად დაიწყეს და პირველ 15 წუთში რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნეს, თუმც სკანდინავიელებმა კარის მშრალად შენახვა შეძლეს და მალე იქით დაამწუხრეს მეტოქე — ანდრეას სვენსონმა მშვენიერი პასი გაუჭრა ფრედერიკ ლიუნგბერგს, რომელმაც კიდევ უფრო ლამაზად დაარტყა და დიმიტარ იანკოვს შანსი არ დაუტოვა. შვედებს მეორეს გატანა მალევე შეეძლოთ, მაგრამ ზლატან იბრაჰიმოვიჩისა და მათიას იონსონის დარტყმებმა მიზანს ვერ უწია.

ამის შემდეგ, ბულგარელები ისევ გააქტიურდნენ. მათ ყველაზე რეალური მომენტი ტაიმის მიწურულს შექმნეს, როდესაც გეორგი ივანოვის მაკრატელა მცირედით ასცდა ანდრეას ისაკსონის კარს.

59-ე წუთზე გეორგი მარკოვი არსენალელ ლიუნგბერგს ეუხეშა და მეორე ყვითელი ბარათი მიიღო, რის შემდეგაც ბულგარელები, ფაქტობრივად გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

მასპინძლებს ცივი წყალი საბოლოოდ მცველმა ერიკ ედმანმა გადაასხა, მან 74-ე წუთზე ზუსტად შეასრულა საჯარიმო დარტყმა და სტუმრების უპირატესობა გაზარდა.

ბულგარელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ამის შემდეგაც არ დანებებულან. მათ რამდენიმე საგოლე მომენტიც შექმნეს, მაგრამ ისაკსონს ისევ ვერ აჯობეს და საბოლოოდ გოლი აქით მიიღეს.

მატჩის ბოლო წამებზე კრისტიან ვილჰელმსონის წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი ზუსტად ფრედი ლიუნგბერგმა დაარტყა და შეხვედრას საბოლოო წერტილი ასე დაუსვა.

„ძალიან მიხარია, დუბლი შევასრულე და მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ. ჩემ თავს არ გამოვარჩევ, მთლიანად გუნდმა ითამაშა ჩინებულად" — თქვა ფრედიმ.

ბულგარელთა თავკაცმა ხრისტო სტოიჩკოვმა კი იხტიბარი არ გაიტეხა: „ყურების ჩამოყრა არ ღირს. წინ კიდევ ექვსი მატჩია და იმედი არ უნდა დავკარგოთ. ჯერ მშვენიერი შანსი გვაქვს. ახლა მხოლოდ უნგრეთთან და ხორვატიასთან შეხვედრებზე უნდა ვიფიქროთ".

გიორგი კაკაბაძე

ხორვატია 4:0 ისლანდია

1:0 ნ. კოვაჩი (39), 2:0 შიმუნიჩი (71), 3:0 ნ. კოვაჩი (75), 4:0 პრსო (90)

შვედეთი	5	4	0	1	17:2	12
ხორვატია	4	3	1	0	10:2	10
ბულგარეთი	4	2	1	1	9:7	7
უნგრეთი	4	2	0	2	5:8	6
ისლანდია	5	0	1	4	4:14	1
მალტა	4	0	1	3	1:13	1

შემდეგი ტური: 30 მარტი

ხორვატია — მალტა

უნგრეთი — ბულგარეთი

III ჯგუფი

ლიხტენშტაინი 1:2 რუსეთი

0:1 კერჟაკოვი (23), 0:2 კარიაკა (37), 1:2 ბეკი (40)

ესტონეთი 1:2 სლოვაკეთი

1:0 ოპერი (57), 1:1 მინტალი (58), 1:2 რეიტერი (66)

პორტუგალია	5	4	1	0	20:3	13
სლოვაკეთი	5	4	1	0	17:4	13
რუსეთი	5	3	1	1	12:9	10
ლატვია	5	2	1	2	10:12	7
ესტონეთი	6	2	1	3	9:13	7
ლიხტენშტაინი	6	1	1	4	9:16	4
ლუქსემბურგი	6	0	0	6	4:24	0

შემდეგი ტური

30 მარტი

ესტონეთი — რუსეთი

ლატვია — ლუქსემბურგი

სლოვაკეთი — პორტუგალია

VII ჯგუფი

ბელგია 4:1 ბოსნია

0:1 ბაირამოვიჩი (1), 1:1 ე. მპენზა (15), 2:1 დაერდენი (44), 3:1 ე. მპენზა (54), 4:1 ბუფელი (76)

სერბეთი	4	3	1	0	10:0	10
ესპანეთი	4	2	2	0	8:1	8
ლიტვა	4	2	2	0	6:1	8
ბელგია	4	1	1	2	5:6	4
ბოსნია	3	0	2	1	2:5	2
სან მარინო	5	0	0	5	0:18	0

შემდეგი ტური

30 მარტი

ბოსნია — ლიტვა

სან მარინო — ბელგია

სერბეთი — ესპანეთი

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

XII ტური

ვენესუელა — კოლუმბია. მატჩი რომ უგოლოდ დასრულდა, ამ ფოტოდანაც კარგად ჩანს

ქალაქში, სადაც სახანძროც არ არის

პეკერმანმა, ხერხი სჯობია ბოლივიასო

ბოლივია 1:2 არგენტინა

1:0 კასტილიო (50), 1:1 ფიგეროა (58), 1:2 გალეტი (63)

ბოლივია: ლ. ფერნანდესი, ო. სანჩესი, რალდესი, ლ. ალვარესი, ლ. პიზარო, ჯ. ანგულო (ძაბერრა 68), გ. გალინდო (რ. გარსია 86), კოლკე (პაჩი 46), ე. სანჩესი, ხ. კასტილიო, ბოტერო

არგენტინა: აბონდანსიერი, ბურდისო, გ. მილიტო, კუფრე, სკალონი, დუშერი, კამბიასო, ჯ. როდრიგესი, მ. როდრიგესი (პონციო 65), გალეტი (პალასიო 84), ფიგეროა (ზარატე 72)

მსაჯი: ხორხე ლარიონდა (ურუგვაი)

15 000 მაყურებელი

ვენესუელა 0:0 კოლუმბია

ჩილე 1:1 ურუგვაი

0:1 რეგუერო (4), 1:1 მიროშევიჩი (47)

მთავარი ამბავი, რაც სამხრეთ ამერიკის ერთიანი შესარჩევი ჯგუფის შაბათის მატჩებში მოხდა, არგენტინის გამარჯვებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯგუფის ლიდერი იგივე დარჩა, თუმცა, რაკი აქედან ოთხი საუკეთესო გუნდი პირდაპირ გადის მსოფლიოს ჩემპიონატზე, პირველ ადგილზე ყოფნა უფრო მორალური თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი, ვიდრე სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე.

არგენტინა ბოლივიას სტუმრობდა ახალგაზრდული შემადგენლობით ქალაქში, სადაც სახანძროც კი არ არის — ჰაერი იმდენად გაიშვიათებულია, რომ დედაქალაქ ლა პასში ჟანგბადის წვა გაძნელებულია და შესაბამისად ხანძარიც არ ჩნდება. არგენტინელთა გამარჯვება იმითაც არის აღსანიშნი, რომ ლა პასში არგენტინელებმა ბოლოს 1973 წელს გაიმარჯვეს.

ხოსე პეკერმანმა, არგენტინელთა მწვრთნელმა ხერხი იხმარა და როგორც აღვნიშნეთ, ახალგაზრდული შემადგენლობა ათამაშა. აქ ხერხი იმაში მდგომარეობს, რომ საბოლივიო გუნდის ბირთვი მთელი თვის განმავლობაში გადიოდა შეკრებას ანდებში, ლა პასში არსებულთან მიმსგავსებულ პირობებში. გამოცდილ არგენტინელ ფეხბურთელებს კი ერთი თვით აბა, რომელი კლუბი გაათავისუფლებდა?

და მაინც, ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს ხოსე კასტილიოს თავურით, მაგრამ სტუმრები ამ გოლმა ვერ გატეხა და ისეთი მონდომებით შეუტიეს, ორი გოლით უპასუხეს. მაქსი როდრიგესის ჩაწოდებულ საჯარიმოს ლუჩანო ფიგეროამ დაჰკრა და გაათანაბრა, მერე კი ლუჩანო გალეტიმ დაასრულა გამარჯვების გოლით ერთ-ერთი სწრაფი კონტრიერიში.

ამის მერე ბოლივიელები ერთ ეპიზოდში პენალტსაც ითხოვდნენ ლიმბერგ პიზაროს წაქცევისთვის, მაგრამ აქედან არაფერი გამოუვიდათ და თამაშიც არგენტინელთა გამარჯვებით დასრულდა.

„ჩვენი წარმატების საიდუმლო მეტად მარტივია — თქვა ნამატჩევს ხოსე პეკერმანმა — ბურთს ვინარჩუნებთ და ზუსტ პასს ვაკეთებთ.“

მასპინძელთა მწვრთნელმა ოვიდიო მესამ კი, ვისთვისაც ეს პირველი სანაკრებო მატჩი იყო, თქვა: „შედეგი აბსოლუტურად სამართლიანია. დაცვაში უმრავი შეცდომა დავუშვით, რაც მეტოქემ ზედმიწევნით გამოიყენა“.

შაბათს ვერცერთმა მასპინძელმა ვერ მოიგო, ოღონდ არგენტინელთაგან განსხვავებით, ურუგვაიმ და კოლუმბიამ ჩილესა და ვენესუელას ფრეები გაუხერხეს.

კოლუმბიელები თავიანთ მეკარე მიგელ კალეროს უნდა უმადლოდნენ კარაკასიდან წაღებულ ქულას, რაკი მეკარემ ბოლო წუთებზე, რომ იტყვიან, აუღებელი ბურთები მოიგერია. სტუმრებს ალეხანდრო სიკერო და ექტორ გონსალესი ემუქრებოდნენ.

კოლუმბიელთათვის ეს ზედიზედ მესამე უგოლო ფრე გახლდათ გასვლით მატჩებში.

მეორეს მხრივ კი, პირველ ტაიმში კოლუმბიელებს ჰქონდათ ორი უნაღდესი საგოლე მომენტი, როცა ჯერ ედისონ პერეამ, მერე კი დავიდ პერეირამ რიგრიგობით გაარტყეს ბურთი ხარიხას.

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ვენესუელას ძალიან დააკლდა ხუან არანგო, ვინაც ესპანეთის პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში მძიმე ტრავმა მიიღო.

მეხუთე ადგილი კი, რაც პლეი ოფში თამაშის უფლებას იძლევა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ურუგვაის ნაკრებს უპყრია.

ჩილეში მიღწეული ფრის მერე, ურუგვაელთა მწვრთნელმა ხორხე ფოსატიმ თქვა, პერუსთან და პარაგვაისთან წაგებით ჩვენ ნანგრევებში მოვყევით და ახლა პირველ ნაბიჯებს ვდგამთ იქიდან თავის დასახსნელადო. შეგახსენებთ, რომ წინა ორ ტურში ურუგვაიმ პერუსთან 1:3, ხოლო პარაგვაისთან 0:5 წააგო.

ურუგვაი, რომელსაც შეტევაში დიეგო ფორლანი ჰყავდა, ადრიანად დაწინაურდა, ოღონდ არა ვილიარეალელის, არამედ მარიო რეგუეროს გოლით. ცოტა იღბალიც და, ურუგვაელები ტაიმს სულ მცირე სამი გოლის უპირატესობით დაასრულებდნენ, მაგრამ ბოლო დარტყმა არ გამოსდიოდათ და საბოლოოდ დაისაჯნენ კიდეც — მეორე ტაიმის დაწყებიდან ორ წუთში ჩილელებმა გათანაბრეს და ეს ანგარიში მატჩის ბოლომდეც შეინარჩუნეს.

კოტე კეკელია

ბრაზილია 1:0 პერუ

1:0 კაკა (74)

ეკვადორი — პარაგვაი

წუხელ გვიან დამთავრდა და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

არგენტინა	12	7	4	1	23:12	25
ბრაზილია	12	6	5	1	20:11	23
ეკვადორი	11	5	1	5	12:11	16
პარაგვაი	11	4	4	3	12:11	16
ურუგვაი	12	4	3	5	17:24	15
კოლუმბია	12	3	5	4	12:11	14
ჩილე	12	3	5	4	11:12	14
ვენესუელა	12	4	2	6	13:17	14
პერუ	12	3	4	5	13:14	13
ბოლივია	12	3	1	8	12:22	10

XIII ტური: 30 მარტი

ბოლივია — ვენესუელა
ურუგვაი — ბრაზილია
პერუ — ეკვადორი
პარაგვაი — ჩილე
არგენტინა — კოლუმბია

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის (U-21) შესარჩევი ეტაპი

I ჯგუფი

რუმინეთი 2:0 ჰოლანდია
ჩეხეთი 3:0 ფინეთი

რუმინეთი	5	4	0	1	14:5	12
ჩეხეთი	5	3	2	0	13:3	11
ჰოლანდია	4	2	1	1	6:3	7
მაკედონია	4	1	1	2	7:9	4
ფინეთი	5	1	0	4	2:9	3
სომხეთი	5	1	0	4	1:14	3

შემდეგი ტური: 29 მარტი
ჰოლანდია — სომხეთი
მაკედონია — რუმინეთი

III ჯგუფი

ესტონეთი 0:2 სლოვაკეთი

პორტუგალია	4	4	0	0	13:2	12
რუსეთი	4	3	0	1	11:2	9
სლოვაკეთი	4	3	0	1	6:5	9
ლატვია	4	1	1	2	4:6	4
ესტონეთი	5	0	2	3	0:8	2
ლუქსემბურგი	5	0	1	4	2:13	1

შემდეგი ტური: 29 მარტი
სლოვაკეთი — პორტუგალია
ლატვია — ლუქსემბურგი
ესტონეთი — რუსეთი

IV ჯგუფი

ისრაელი 3:1 ირლანდია
საფრანგეთი 1:1 შვეიცარია

საფრანგეთი	4	3	1	0	4:1	10
ისრაელი	5	3	1	1	6:3	10
შვეიცარია	3	1	2	0	6:4	5
ირლანდია	4	1	0	3	6:8	3
კვიპროსი	4	0	0	4	0:6	0

შემდეგი ტური: 29 მარტი
ისრაელი — საფრანგეთი
შვეიცარია — კვიპროსი

V ჯგუფი

იტალია 2:0 შოტლანდია

იტალია	5	5	0	0	10:1	15
სლოვენია	4	1	2	1	2:4	5
ნორვეგია	4	1	1	2	4:5	4
მოლდოვა	4	1	1	2	3:4	4
ბელარუსი	3	1	0	2	6:7	3
შოტლანდია	4	0	2	2	1:5	2

შემდეგი ტური: 29 მარტი
მოლდოვა — ნორვეგია
სლოვენია — ბელარუსი

VI ჯგუფი

ინგლისი 2:2 გერმანია
უელსი 1:0 ავსტრია
პოლონეთი 3:0 აზერბაიჯანი

გერმანია	5	3	2	0	11:3	11
ინგლისი	5	3	2	0	9:3	11
პოლონეთი	5	2	2	1	10:6	8
უელსი	5	2	1	2	4:8	7
ავსტრია	5	1	0	4	3:8	3
აზერბაიჯანი	5	0	1	4	0:9	1

შემდეგი ტური: 29 მარტი
ავსტრია — უელსი
ინგლისი — აზერბაიჯანი

VII ჯგუფი

ბელგია 0:0 ბოსნია

სერბეთი	4	3	0	1	17:5	9
ესპანეთი	4	2	2	0	19:3	8
ბელგია	4	2	2	0	9:2	8
ლიტვა	4	2	1	1	5:5	7
ბოსნია	3	0	1	2	1:5	1
სან მარინო	5	0	0	5	1:37	0

შემდეგი ტური: 29 მარტი
სერბეთი — ესპანეთი
ბოსნია — ლიტვა
სან მარინო — ბელგია

VIII ჯგუფი

ბულგარეთი 1:2 შვედეთი
ხორვატია 2:1 ისლანდია

ხორვატია	4	4	0	0	6:1	12
შვედეთი	5	3	0	2	6:7	9
უნგრეთი	4	2	0	2	4:3	6
ისლანდია	5	2	0	3	7:6	6
მალტა	4	1	0	3	2:5	3
ბულგარეთი	4	1	0	3	4:7	3

შემდეგი ტური: 29 მარტი
უნგრეთი — ბულგარეთი
ხორვატია — მალტა

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აფრიკა. VI ტური

I ჯგუფი

ზამბია 2:0 კონგო
სენეგალი 6:1 ლიბერია
მალი 1:2 ტოგო

სენეგალი	6	4	1	1	15:6	13
ტოგო	6	4	1	1	8:3	13
ზამბია	6	4	1	1	8:4	13
კონგო	6	2	0	4	6:9	6
ლიბერია	6	1	1	4	2:13	4
მალი	6	0	2	4	4:8	2

II ჯგუფი

სამხრეთ აფრიკა 2:1 უგანდა
ბურკინა ფასო 1:2 კაბო ვერდე
კონგოს დრ 1:1 განა

სამხრეთ აფრიკა	6	4	0	2	7:6	12
კაბო ვერდე	6	3	1	2	6:5	10
განა	6	2	3	1	7:3	9
კონგოს დრ	6	2	3	1	6:5	9
ბურკინა ფასო	6	2	0	4	6:8	6
უგანდა	6	1	1	4	3:7	4

III ჯგუფი

კოტ დივუარი 3:0 ბენინი
ეგვიპტე 4:1 ლიბია
კამერუნი 2:1 სუდანი

კოტ დივუარი	6	5	0	1	13:3	15
კამერუნი	6	3	2	1	9:6	11
ეგვიპტე	6	3	1	2	15:10	10
ლიბია	6	3	1	2	8:8	10
ბენინი	6	0	2	4	6:14	2
სუდანი	6	0	2	4	3:13	2

IV ჯგუფი

ნიგერია 2:0 გაბონი
ალჟირი 0:1 რუანდა
ზიმბაბვე 2:0 ანგოლა

ნიგერია	6	4	1	1	9:2	13
ანგოლა	6	3	2	1	5:4	11
ზიმბაბვე	6	2	2	2	6:6	8
რუანდა	6	2	1	3	5:7	7
გაბონი	6	1	3	2	8:9	6
ალჟირი	6	0	3	3	2:7	3

V ჯგუფი

კენია 1:0 ბოტსვანა
ტუნისი 7:0 მალავი
მაროკო 1:0 გვინეა

მაროკო	6	3	3	0	10:4	12
კენია	5	3	0	2	8:10	9
გვინეა	6	2	2	2	9:6	8
ტუნისი	5	2	2	1	15:6	8
ბოტსვანა	6	2	0	4	5:11	6
მალავი	6	0	3	3	6:16	3

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. კონკაკაფი

II საკვალიფიკაციო წრე
მეორე ტური

კოსტა რიკა 2:1 პანამა
გვატემალა 5:1 ტრინიდადი
მექსიკა 2:1 აშშ

მექსიკა	2	2	0	0	4:2	6
გვატემალა	2	1	1	0	5:1	4
კოსტა რიკა	2	1	0	1	3:3	3
აშშ	2	1	0	1	3:3	3
პანამა	2	0	1	1	1:2	1
ტრინიდადი	2	0	0	2	2:7	0

შემდეგი ტური
30 მარტი
პანამა — მექსიკა
აშშ — გვატემალა
ტრინიდადი — კოსტა რიკა

ამხანაგური მატჩები

პორტუგალია 4:1 კანადა

1:0 მ. ფერნანდეში (8), 2:0 პაულეტა (12), 3:0 პოსტიგა (82), 3:1 მაკკენა (85), 4:1 ნუნუ გომეში (90)

კვიპროსი 2:1 იორდანია

1:0 ხარალამბიდისი (9), 2:0 ოკასი (28), 2:1 მაჰმუტი (82)

ავსტრალია 2:1 ერაყი

0:1 ნასირი (11), 1:1 ბრეშიანო (23), 2:1 ელრიხი (72)



AFP თეირანიდან

ირანი — იაპონია. იაპონელებმა თეირანში ფეხი რიგიანად ვერ მოიკიდეს

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის აზია. მეორე საკვალიფიკაციო წრე. II ტური

A ჯგუფი

ძუვეითი 2:1 უზბეკეთი

საუდის არაბეთი 2:0 სამხ. კორეა

საუდის არაბეთი	2	1	1	0	3:1	4
სამხ. კორეა	2	1	0	1	2:2	3
ქუვეითი	2	1	0	1	2:3	3
უზბეკეთი	2	0	1	1	2:3	1

B ჯგუფი

ჩრდ. კორეა 1:2 ბაჰრეინი

ირანი 2:1 იაპონია

ბაჰრეინი	2	1	1	0	2:1	4
ირანი	2	1	1	0	2:1	4
იაპონია	2	1	0	1	3:3	3
ჩრდ. კორეა	2	0	0	2	2:4	0

რა მოხდა თეირანში?

ის, რაც ფიფამ ვერ გაარკვია

ვაჰიდ ჰაშემიანის სახელი და გვარი ევროპელი ქომაგისთვის მიუნხენის „ბაიერნიდან“ გახლავთ ცნობილი, თეირანის „აზადიზე“ შეკრებილი 100 ათასი ირანელისთვის კი იგი ეროვნული გუნდის ის ფორვარდი გახლავთ, რომელმაც იაპონიას ორი გოლი გაუტანა და დაამარცხა.

ამ გამარჯვების წყალობით ირანი ახლა ბაჰრეინთან ერთად — რომელმაც ჩრდილოეთ კორეას მოუგო — ლიდერობს მსოფლიოს ჩემპიონატის აზიის ზონის B შესარჩევ ჯგუფს.

ჰაშემიანმა მასპინძლები 25-ე წუთზე დააწინაურა, რისი მიზეზიც უპირველეს ყოვლისა, იაპონელთა დაცვის წამიერი არევა გახლდათ, რითაც ისარგებლა კიდეც მიუნხენელმა და მარჯვენა ფეხი მიზნიანად დასცხო ბურთს.

ანგარიში იაპონელმა ნახევარმცველმა, ტაკაში ფუკუნიშიმ გაათანაბრა, მაგრამ 75-ზე ჰაშემიანმა ალი ქარიმის ჭკვიანურ პასს სწორი თავური დააყოლა და ირანმა გამარჯვების გოლი შეაგდო. მეტიც, ირანელებს მატჩის მიწურულს კიდევ ერთი გოლის გატანა შეეძლოთ, მაგრამ აკირა კაჯიმ არაშ ბორჰანის დარტყმული ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა.

„ეს მატჩი, რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავივიწყოთ და ბაჰრეინის დასამარცხებლად უნდა მოვიკრიბოთ მთელი ენერგია. ერთი წაგებით ქვეყანა არ ინგრევა. ჩვენ შეგვწევს იმის ძალა, რომ მომხდარზე გლოვას მომავალი არ გადავაყოლოთ“ — განაცხადა იაპონელთა ბრაზილიელმა მწვრთნელმა ზიკომ.

და, ძალიანაც კარგი იქნებოდა, ამ შეხვედრასთან დაკავშირებით მეტი არაფერი არ გვქონოდა სათქმელი, მაგრამ სამწუხაროდ „აზადიდან“ გამოსულ ხალხს ჩვენთვის და ჯერჯერობით თავად ფიფასთვის უცნობი მიზეზების გამო უბედურება გადახდენია თავს, რის შედეგადაც, როგორც ამბობენ ხუთი ქომაგი დაიღუპა. ზოგიერთი წყარო გადმოსცემს 40 ადამიანის დასახიჩრების ამბავსაც.

რაც შეეხება ჩრდილოკორეელთა და ბაჰრეინელთა შეხვედრას, მის შესახებ, უპირველეს ყოვლისა იმას მოგახსენებთ, რომ ტაილანდელმა მსაჯმა მონგკოლ რუნგკლაიმ კორეელთა აზრით, ერთი კი არა, რამდენიმე პენალტი არ დანიშნა მათ სასარგებლოდ.

„ერთადერთი, რაც მინდა გითხრათ ის არის, რომ ნებისმიერ შეჯიბრებაში მსაჯობა პატიოსანი უნდა იყოს. დღეს მსაჯობა უპატიოსნო გახლდათ“ — განაცხადა კორეელთა მწვრთნელმა იუნ იონგ-სუმ.

„ცხადია, ცოტათი გაგვიმართლა, მაგრამ ფეხბურთში რომ მოიგო, იღბალმა აუცილებლად უნდა გაგიღიმოს. დღეს ჩვენ საოცარი ერთსულოვნება ვაჩვენეთ“ — განაცხადა ბაჰრეინელთა დროებითმა თავკაცმა, გერმანელმა ვოლფგანგ ზიდკამ.

პაპუნა ძედია

ამხანაგური მატჩი

ილბალი ქომაგთა ვანდალიზმის წილ

ბოდიში, ასე ნამდვილად არ შეიძლება

სლოვენია 0:1 გერმანია

0:1 პოდოლსკი (27)

სლოვენია: ბანდროვიჩი, ციპოტი, ფილეკოვიჩი, მავრიჩი, კნავსი, კორენი (როდიჩი 46), შილიაკი (ციმეროტიჩი 46), ჩეჰი, კომაცი (შუკალო 76), შუშლარი (პოკორნი 66), ბ. ილიჩი

გერმანია: კანი, ბინკელი (ოვომოიელა 72), ფრიდრიხი, ჰუთი, ბაუმანი (შვაინსტაიგერი 58), ფრინგსი, ბალაკი, ჰიცლშპერგერი, ნოვილი (ბოროფსკი 83), კლოზე (კურანი 74), პოდოლსკი

მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

8 500 მაყურებელი

REUTERS ფოტოდან

ფაბიან ციპოტისა და მიხაელ ბალაკის (№13) თავბურთი

მაშინ, როცა ევროპის დანარჩენი ბობოლები თავ-თავიანთ საკვალიფიკაციო პრობლემებს აგვარებდნენ, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მასპინძლები ამხანაგურად ბურთაობდნენ სლოვენიაში. უნდა ითქვას — და ნამატჩევს, ეს თავად გერმანელთაც ჰალალად აღიარეს — რომ ეს არ იყო მათი საუკეთესო მატჩი და რომ მასპინძლებს მხოლოდ იღბლის წყალობით აჯობეს.

ილბალმა გერმანელებს რიკოშეტი შეაშველა პირველი ნახევრის 27-ე წუთზე, როცა ოლივერ ნოვილის მძლავრად ნაგლაჯუნები ბურთი სლოვენ მცველ მატეი მავრიჩს მოხვდა და საგოლედ ჩასაფრებულ ლუკაშ პოდოლსკის მიუგორდა. ეგ იყო და ეგ — მართალია, შესვენებამდე გერმანელები ისედაც აკონტროლებდნენ თამაშს, მაგრამ ასპროკენტიანი სახიფათო მომენტები ეგრეც არ შეუქმნიათ.

მეორე ტაიმში კი ინიციატივა უკვე მასპინძლებმა იგდეს ფეხთ და მათი ზოგი საგოლე მიძალება ხან სტუმართა ამაგდარმა მეკარე ოლივერ კანმა გააუვნებლა, ზოგიც თავადვე ააცილეს. ნახევრის დასაწყისში კანმა შეცვლაზე შესულ სებასტიან ციმეროტიჩს მოუგერია, მერე კი დაუცველად მიტოვებულმა ფაბიან ციპოტმა თავური ხარიხას უწია. თავით მისი მეორე დარტყმა კი 77-ე წუთზე უკვე ბასტიან შვაინსტაიგერმა გამოიტანა ცარიელი კარიდან.

მოკლედ, გაგვიმართლაო, იძახდა ნამატჩევს გერმანელთა კაპიტანი მიხაელ ბალაკი — მატჩი ქაოტური გამოდგა და ჩვენი დაცვა ვერ იყო მთლად კარგად ორგანიზებული. ამასვე ამბობდა ოლივერ კანიც: „მართალია, სლოვენიის წინააღმდეგ ისევე მოტივირებული ვერ გადიხარ, როგორც, ვთქვათ, ბრაზილიასა ან არგენტინასთან, მაგრამ მეტოქეს რომ სამი-ოთხი რეალური შანსი შევაქმნევინეთ, ეგ კი ნაღდად საგანგაშო ამბავია.“

თავის ფეხბურთელებს იურგენ კლინსმანიც უკრავდა კვერს — ჰო, მართლაც გაგვიმართლაო — თუმცა, მასაც და სხვა გერმანელ ჩინოსნებს უფრო თავიანთი ქომაგების უმსგავსო ქმედებათა გამო უხდებოდათ ბოდიშობანა.

არადა, საბოდიშო მართლაც ჰქონდათ — გერმანელმა ხულიგნებმა მატჩამდე ერთ-ერთი რესტორანი დაარბიეს, მატჩისას კი მოედანზე მაშხალებს, ხოლო პოლიციას სკამებს ესროდნენ. შედეგად, ადგილობრივ ძალოვნებს შეხვედრის დაწყებამდე 30, ნაშეხვედრევს კი კიდევ 12 მოქმედურის დაკავება მოუხდათ.

ჩვენ სლოვენიელ მასპინძლებს უდიდესი ბოდიში უნდა ვუხოვოთ, უღირსმა ქომაგებმა ძალიან შეგვარცხვინესო, ამბობდა გერმანიის საფეხბურთო კავშირის მედიადირექტორი ჰარალდ შტენგერი.

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ორგკომიტეტის თავმჯდომარე ფრანც ბეკენბაუერი კი შეკერებული იყო — ასეთი რამეები არ უნდა ხდებოდესო. თუმც კი იქვე ბრალს მაინც სლოვენიელ ძალოვნებს სდებდა, აქაოდა, საფრთხე სათანადოდ კერ შეაფასეს და ხულიგნები დროზე ვერ აღაგეს.

შეგახსენებთ, რომ გერმანელ ქომაგთა ამგვარი ვანდალიზმის შესახებ 1998 წლის მსოფლიოს პირველობის შემდეგ ალარ გვსმენია — მაშინ, ალბათ თქვენც მოიგონებთ, მათ ხიშლეგეს ფრანგი პოლიციელის სიცოცხლეც შეეწირა.

არტემ ჩაჩანიძე



AFP ფოტოდან

გერმანელი არნე ფრიდრიხი (№2) სლოვენიელ მეურვეებს იოლად დაუსხლტა

ამხანაგური მატჩი

REUTERS სტენლი ეიდან

ფერნანდო ტორესმა (№9) რაულის არყოფნაში ნაკრების ლიდერობა ვერ გასწია

სერბეთი ჩინეთი არ არის

პირველობა მედიამ ტორესი დატორა

ესპანეთი 3:0 ჩინეთი

1:0 ტორესი (33), 2:0 ხავი (32), 3:0 ხოაკინი (53)

ესპანეთი: კასილიასი, პუიოლი (სერხიო რამოსი 46), პაბლო იბანიესი, ხუანიტო, დელ ორნო, ხოაკინი (ლუის გარსია 55), ხავი (ვალერონი 46), ალბელდა (ორბაისი 46), ლუკე (რეიესი 46), დე ლა პენა, ფ. ტორესი (მისტა 46)

მწვრთნელი: ლუის არაგონესი

მსაჯი: ლუსილიუ კორტეს ბატისტა (პორტუგალია)

17 000 მაყურებელი

შაბათს სევილიის „ელმანტიკოზე" ესპანეთის ნაკრებმა ამხანაგურად ჩინეთის ეროვნული გუნდი იოლად დაამარცხა.

ჩინელთა ბედი მესამე წუთზეკვე გადაწყდა, როდესაც იუნცემ საჯარიმოში შეჭრილი ალბერტ ლუკე დასცა და პორტუგალიელი არბიტრისგან სასჯელად თერთმეტმეტრიანი დარტყმა მიიღო — ფერნანდო ტორესმა აზიელთა მეკარე ლი იუნ ფეი იოლად გააცურა.

საერთოდაც, ტორესი ბევრს ეცადა, კაპიტან რაულის არყოფნაში ლიდერის ფუნქციები თავის თავზე აეღო, თუმცა პირნეული სპორტული მედია „ელ ნინიოს" გარჯით კმაყოფილი არ დარჩენილა.

ანგარიშის გახსნის მერე მოედანზე ცხადია, ისევ ესპანეთი დომინირებდა, ოღონდ მეტოქე მცველთა სიძლიერისა თუ ფეხბურთელთა უზუსტობის გამო, „ელმანტიკოს" ინფასებმა წინასწარ ნავარაუდევი გოლეადა ვერ იხილეს.

თუმც, მარტო ტორესის გოლი როდი იყო — 32-ე წუთზე ხავიმ ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო, ბურთი ცოცხალმა კედელმა აისხლიტა და ასე, რიკოშეტით შეფრინდა ჩინელთა კარში.

თავიანთი წილი მომენტების შექმნა სტუმართა თავდამსხმელებმაც მოახერხეს, მაგრამ...

„ჩვენმა დაცვამ საშინლად ითამაშა. თუ ლუის არაგონესმა ეს ხარვეზი ვერ გამოასწორა, 30 მარტს სერბეთან უცილობლად წავაგებთ. სერბეთი ჩინეთი არ არის" — ეკითხულობთ გუშინდელ ესპანურ „მარკაში".

ეროი სიტყვით, აი, რისი თქმა გვსურს, ესპანელთა მეკარე კასილიასის სიჩაუქე რომ არა, სავსებით შეიძლებოდა, პირველ 45 წუთში ჩინელებს ანგარიშში სხვაობა შეემცირებინათ...

შესვენების მერე, განსაკუთრებით რეიესისა და ვალერონის გამოსვლის შემდეგ, ესპანელები შესამჩნევად გააქტიურდნენ, რასაც ხელი თუ ფეხი, ხოაკინმა და იკან დე ლა პენიამ შეუწყვეს — პირველ 10 წუთში არაგონესის შეგირდებმა სწორედ მათი წყალობით შექმნეს სახიფათო მომენტები, რასაც ხოაკინის ლოგიკურად შეგდებული დიდებული გოლი მოჰყვა.

გარდა ამისა, ეს მატჩი სადებიუტო გახლდათ ახალწვეულებისთვის — მიგელ მისტას, სერხიო რამოსს და ლუის გარსიას თავი ნამდვილად არ შეურცხვენიათ: სერხიო რამოსი დაცვაში უშეცდომოდ ბურთაობდა, ლუის გარსიამ ჩინელების გულის გასახეთქად ბურთი ერთხელ ძელს დააჭედა, ხოლო მისტა ეროვნულ გუნდშიც ისეთი ჩაუქი იყო, როგორსაც საკლუბო დონეზე, „ვალენსიაში" მის თამაშს ვართ ნაჩვევნი.

ერთი სიტყვით, ახლა ლუის არაგონესის გუნდს წინ ჩინეთზე გაცილებით რთული მეტოქე, სერბეთი ელის, თანაც მატჩი გერმანიის მუნდიალზე მოსახვედრად, ერთ-ერთი გადამწყვეტის ხასიათსაც ატარებს.

„მართალია, ჩინელებს მოვუგეთ, მაგრამ ეს ისეთი შედეგი არ არის, რასაც ველოდებოდი. ამით იმისი თქმა მინდა, რომ ნაკრების თამაშში რაღაც-რაღაცეები უნდა გამოვასწოროთ, სწვანაირად დიდ გამარჯვებებს ვერ მივაღწევთ" — განაცხადა ესპანეთის ნაკრების მხცოვანმა დამრიგებელმა.

ლადო ხომერიკი

ინგლისი

I ლიგა. XXXIX ტური

დონკასტერი — ბრედფორდი 1:1; ლუტონი — ბარნსლი 1:3; დონსი — სუინდონი 1:1; პიტერბრო — კოლჩესტერი 0:3; ბარტლპული — ბადერსფილდი 0:1; ჩესტერფილდი — ტრანმერი 2:2; ბალი — პორტ ვეილი 2:2; შეფილდ უენსდი — ტორკი 2:2; უოლსოლი — ოლდჰემი 0:1

II ლიგა. XXXIX ტური

ბერი — გრიმსბი 3:1; ლეიტონი — ჩელტენჰემი 2:3; საუთენდი — როჩდეილი 3:0; სკანთორპი — ოქსფორდი 1:1; მენსფილდი — ჩესტერფილდი 0:0; რაშდენი — ლინკოლნი 1:4; შრიუსბერი — კემბრიჯი 0:0; სუონსი — მაკლსფილდი 2:0; უიკომბი — ნორთჰემპტონი 0:1; ბოსტონი — იოვილი 1:2; დარლინგტონი — კიდერმინსტერი 0:2; ნოტსი — როვერსი 1:2

კონფერენსლიგა XXXIX ტური

ქონვი — კარლაილი 0:3; ქროული — ლეი 2:2; ფარნბორო — ჰერეფორდი 0:6; ფორესტ გრინი — ბარნეტი 0:2; მორეკამბი — ექსეტერი 2:2; ნორსვიჩი — გრეივსენდი 1:2; სტივენეიჯი — დაგენემი 1:0; ბარტონი — აკრინგტონი 2:2; ჰალიფაქსი — ტემუორთი 3:3; ალდერშოტი — უოქინგი 4:0

გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXVII ტური

არმინია (მ) — ზანკტ პაული 1:4; დორტმუნდი (მ) — ჰამბურგი (მ) 1:2; ბრაუნშვაიგი — იურდინგენი 2:0; ქემნიცი — კილი 1:0; დიუსელდორფი — ოსნაბრიუკი 2:2; ლიუბეკი — კიოლნი (მ) 5:0; ვერდერი (მ) — ვუპერტალი 1:3; მიუსტერი — ჰერტა (მ) 2:5. პადერბორნი — უნიონი დღეს გაიმართება

სამხრეთ რეგიონალლიგა XXIX ტური

ნოტინგენი — ოფენბახი 1:2; აუგსბურგი — ზიგენი 0:0. *მიუნხენი (მ) — ელვერსბერგი, კოტბუსი — ჰოფენჰაიმი, ჰფულენდორფი — შტუტგარტი (მ), კაიზერი — ფოიხტი და ალენი — დარმშტადტი დღეს გაიმართება*

შოტლანდია

მეორე დივიზიონი გადადებული მატჩები

ეარი 1:0 ფორფარი

ბერვიკი 2:1 ალოა

დამბარტონი 1:1 სტრანრარი

მესამე დივიზიონი გადადებული მატჩი

ისტ ფაიფი 2:0 ელგინი

შვეიცარია

ჩელენჯლიგა გადადებული მატჩები

იუვენტუსი — ბოლმი 0:2; მეირინი — ბელინცონა 1:2; ბულე — ვოლეი 2:0; კიასო — შო დე ფონი 1:1

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა გადადებული მატჩები

დრნოვიცე 0:1 იაბლონეცი

ზლინი 0:0 პრჟიბრამი

სპარტა	20	16	3	1	41:14	51
ტეპლიცე	19	8	9	2	17:13	33
სლავია	19	9	5	5	28:18	32
ლიბერეცი	19	8	7	4	28:13	31
იაბლონეცი	20	8	7	5	20:16	31
სიგმა	19	9	3	7	20:18	30
ბანიკი	19	7	7	5	23:23	28
სლოვაცკო	20	6	9	5	17:14	27
ზლინი	20	5	8	7	18:23	23
ოპავა	19	5	6	8	20:23	21
დრნოვიცე	19	5	5	9	20:24	20
ბრნო	19	5	5	9	14:26	20
ბლშანი	20	5	5	10	16:29	20
ბოლესლავი	19	3	9	7	19:24	18
პრჟიბრამი	20	4	6	10	17:32	18
ბუდეიოვიცე	19	2	6	11	15:23	12

იაპონია

თასის მეორე ტური

ნიიგატა — კობე 1:0; ურავა — ომია 2:1; კავაზაკი — გამბა 2:2; ჰიროშიმა — ვერდი 0:1; ტოკიო — ოიტა 0:0; იჩიჰარა — კაშივა 1:2; კაშიმა — ნაგოია 2:1; სერეზო — შიმიცუ 0:2

იტალია

სერია B. XXXI ტური

არეცო 1:2 მოდენა

1:0 აბრუსკატო (18), 1:1, 1:2 ჩენტურიონი (53, 56)

ასკოლი 1:0 პიაჩენცა

1:0 კრისტიანო (52)

კატანია 1:0 კროტონე

1:0 ანასტაზი (90)

კატანძარო 2:2 ჩეზენა

0:1 პიკოლი (2), 1:1 ასკოლი (42), 2:1 კორონა (48პ), 2:2 სალვეტი (69)

ემპოლი 1:0 პერუჯა

1:0 ალმირონი (20)

სალერნიტანა 0:0 ვენეცია

ტერნანა 0:1 ბარი

0:1 სანტორუვო (9)

ტორინო 3:1 პესკარა

1:0 მანიერო (1), 2:0 მარაცინა (11), 3:0 მარინელი (18პ), 3:1 ანტონინი (90)

ტრევიზო 2:0 ვიჩენცა

1:0 გალო (18), 2:0 კოტაფავა (26)

ტრიესტინა 2:1 ალბინოლეფე

1:0 მუნარი (22), 2:0 გოდეაში (34), 2:1 გორი (46)

ვერონა 1:1 ჯენოა

0:1 დ. მილიტო (20), 1:1 იუნკო (51)

ჯენოა	31	15	12	4	54:33	57
ემპოლი	31	14	12	5	44:25	54
ტრევიზო	31	15	7	9	41:32	52
ტორინო	31	15	6	10	35:26	51
ვერონა	31	13	9	9	51:37	48
პერუჯა	31	13	9	9	35:26	48
ასკოლი	31	13	9	9	43:40	48
მოდენა	31	12	8	11	32:30	44
პიაჩენცა	31	13	4	14	33:35	43
კატანია	31	10	13	8	32:34	43
ალბინოლეფე	31	11	9	11	43:38	42
ჩეზენა	31	11	9	11	37:42	42
ტერნანა	31	10	11	10	36:38	41
ტრიესტინა	31	11	7	13	35:41	40
ბარი	31	9	12	10	28:29	39
ვიჩენცა	31	11	6	14	46:51	39
პესკარა	31	9	12	10	33:41	39
სალერნიტანა	31	9	10	12	35:40	37
არეცო	31	6	14	11	40:43	32
კროტონე	31	7	10	14	29:36	31
ვენეცია	31	5	11	15	24:40	26
კატანძარო	31	5	8	18	27:56	23

სერია C1/A. XXX ტური

კრემონეზე — კომო 2:1; გროსეტო — პავია 0:0; ლუმეცანე — პრო პატრია 1:1; მანტოვა — აკირეალე 2:0; ნოვარა — ფროზინონე 1:0; პიზა — ფ. ანდრია 2:0; სანჯოვანეზე — პრატო 1:0; ს. ტორესი — პისტოიზე 0:2; ვიტორია — ლუკეზე 0:1

სერია C1/A. XXX ტური

კიეტი — პეზარო 2:0; მარტინა — აველინო 1:0; პადოვა — ფერმანა 3:1; რეჯანა — ბენევენტო 1:0; რიმინი — ფოჯა 2:0; სამბენედეტეზე — ნაპოლი 0:0; სორა — ლანჩანო 2:0; სპალ — ჯულიანოვა 1:0; ტერამო — ჩიტადელა 0:0

საფრანგეთი

მეორე დივიზიონი გადადებული მატჩი

კრეტეი 3:3 მონპელიე

ნანსი	30	16	6	8	43:29	54
ლე მანი	30	16	5	9	37:24	53
ტრუა	29	15	6	8	48:37	51
სედანი	30	13	8	9	30:28	47
შატორუ	30	10	15	5	39:30	45
ბრესტი	30	11	12	7	30:27	45
ლავალი	30	13	6	11	35:33	45
დიჟონი	30	10	12	8	32:27	42
მონპელიე	30	11	9	10	31:29	42
გრენობლი	30	11	9	10	37:36	42
გენიონი	30	10	12	8	25:26	42
გენგამი	30	11	7	12	39:37	40
ამიენი	30	9	10	11	30:32	37
ლორიანი	30	10	7	13	35:39	37
რეიმსი	30	8	11	11	26:40	35
ანჟე	30	7	12	11	29:35	33
ლე ავრი	30	8	7	15	19:31	31
კლერმონი	29	6	12	11	27:29	30
კრეტეი	30	6	11	13	28:33	29
ნიორი	30	6	7	17	24:42	25

ირლანდია

პრემიერლიგა. II ტური

უოტერფორდი — ფინ ჰარპსი 2:1; კორკ სიტი — ბრეი 1:1; შემროკი — შელბურნი 0:2; სენტ პატრიკსი — ბოჰემიანსი 0:0; დუბლინი — დროჰედა 0:2. *დერი სიტი — ლონგფორდი გადაიდო*

ესპანეთი

სეგუნდადივიზიონი. XXX ტური

მალაგა B 0:1 სელტა

0:1 ნაგორე (67)

ტერასა 0:2 ალავესი

0:1 რ. ნავარო (25), 0:2 რ. დიასი (58)

კადისი 2:0 ფეროლი

1:0 ხონათანი (19), 2:0 ფლურკინი (40)

პოლი ეხიდო 1:0 უელვა

1:0 პედრო ვეგა (90)

პონტევედრა 2:1 ხერესი

1:0 ვასკესი (13), 1:1 მენა (66პ), 2:1 ჩანგი (70)

სალამანკა 3:1 მურსია

1:0 ხაიმე (11), 1:1 ვალერა (12), 2:1 ჩუპრი (54), 3:1 ბრიტი (78)

ვალიადოლიდი 0:1 ალმერია

0:1 სანონი (34)

კორდობა 0:0 სპორტინგი

ტენერიფე 1:1 ლეიდა

1:0 კეკო (51), 1:1 ლესაუნი (78)

სიუდად მურსია 1:1 ეიბარი

1:0 გუიზა (5), 1:1 გარიტანო (20)

ელჩე 3:3 ხიმნასტიკი

0:1 კუელიარი (4), 1:1 ნინიო (16), 1:2 ტორტოლერო (49), 2:2 მოიზესი (58), 2:3 ანგულო (79), 3:3 ნინიო (82)

სელტა	30	16	10	4	40:24	58
კადისი	30	16	7	7	46:21	55
ეიბარი	30	15	9	6	39:27	54
ალავესი	30	15	6	9	45:36	51
ელჩე	30	14	8	8	44:36	50
უელვა	30	13	9	8	29:19	48
ვალიადოლიდი	30	12	8	10	39:36	44
ხიმნასტიკი	30	12	8	10	32:29	44
ხერესი	30	11	10	9	30:29	43
სპორტინგი	30	11	9	10	30:26	42
პოლი ეხიდო	30	10	11	9	29:27	41
ტენერიფე	30	9	14	7	27:30	41
ლეიდა	30	11	6	13	35:37	39
სალამანკა	30	10	6	14	39:42	36
მალაგა B	30	9	8	13	22:33	35
ფეროლი	30	8	10	12	40:38	34
სიუდად მურსია	30	7	13	10	39:45	34
ალმერია	30	8	9	13	26:35	33
ტერასა	30	9	6	15	31:41	33
მურსია	30	9	5	16	23:42	32
კორდობა	30	6	8	16	20:32	26
პონტევედრა	30	4	10	16	27:47	22

ჰოლანდია

მეორე დივიზიონი გადადებული მატჩები

კამბური — ტელსტარი 2:4; ეინდჰოვენი — ვენლო 1:3; ვოლენდამი — სიტარდი 3:0; ზვოლე — სპარტა 0:1; ჰაარლემი — ჰერაკლესი 0:1; მაასტრიხტი — ვენდამი 4:0; ოსი — აპელდორნი 2:0

სპარტა	27	17	8	2	73:28	59
ჰერაკლესი	26	17	4	5	47:26	55
ვენლო	27	14	8	5	50:28	50
ზვოლე	28	12	8	8	48:38	44
ვოლენდამი	27	12	5	10	37:33	41
ჰელმონდი	26	11	7	8	45:35	40
ტელსტარი	26	10	9	7	41:33	39
დორდრეხტი	26	11	6	9	35:37	39
კამბური	28	11	6	11	34:38	39
აპელდორნი	27	12	1	14	43:44	37
ვეენდამი	27	10	7	10	41:43	37
ოსი	28	10	6	12	38:53	36
ექსელსიორი	27	9	5	13	38:41	32
იგლსი	26	8	8	10	32:40	32
მაასტრიხტი	28	7	9	12	30:35	30
ჰაარლემი	27	8	6	13	37:47	30
სიტარდი	26	5	8	13	35:55	23
ეინდჰრვენი	28	5	8	15	41:62	23
ემენი	27	4	7	16	30:59	19

ბელგია

მეორე კლასი გადადებული მატჩები

ვირტონი 5:2 რონსე

ვარეგემი 3:0 პატრო

ეუპენი 1:1 ანტვერპენი

ვიზეტი 6:1 სენტ ჟილი

ვარეგემი	29	19	7	3	62:29	64
გეელი	27	15	6	6	41:23	51
რუზელარე	28	11	11	6	40:27	44
ვაასლანდი	28	12	8	8	45:40	44
რონსი	28	12	8	8	36:36	44
ანტვერპენი	28	13	4	11	40:32	43
ტუბიცე	28	13	4	11	46:39	43
ჰეუსდენი	28	9	11	8	33:31	38
კორტრაიკი	28	10	6	12	40:41	36
ვირტონი	28	9	9	10	36:42	36
დაინცე	28	9	9	10	43:51	36
პატრო	29	8	9	12	32:46	33
ვიგორი	28	7	10	11	37:39	31
დესელი	28	7	10	11	26:37	31
ეუპენი	27	6	10	11	39:41	28
სენტ ჟილი	27	7	7	13	29:44	28
აალსტი	28	5	11	12	31:49	26
ვიზეტი	27	6	6	15	37:46	24

სარგებელი: კრეკერ

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. I ლიგა						
		28 მარტი						
18:00	26	ბირმინგემი-დერბი	1.6	3.4	5.0	1.08	1.21	2.02
18:00	27	ბარნსლი-უოლხოლი	1.8	3.4	3.7	1.17	1.21	1.77
18:00	28	ბლეკბერნი-პორტსმუთი	2.35	3.2	2.65	1.35	1.24	1.44
18:00	29	ბრეტფორდი-ბოლტონი	1.45	3.6	6.5	1.03	1.18	2.31
18:00	30	კოლჩესტერი-სენდერლენდი	2.15	3.3	3.0	1.3	1.25	1.57
18:00	32	ტორკი-ლუტონი	3.6	3.3	1.85	1.72	1.22	1.18
18:00	33	ტრანმერი-ფულჰემი	1.6	3.4	5.1	1.08	1.21	2.03
18:00	34	ოლდჰემი-ბოლი	3.05	3.4	2.0	1.6	1.2	1.25
22:45	35	ბრეტფორდი-სტოკბრიჯი	1.55	3.5	5.2	1.07	1.19	2.09
		29 მარტი						
22:45	36	ბოლტონი-ვესტჰემი	2.8	3.2	2.25	1.49	1.24	1.32
		ინგლისი. II ლიგა						
		28 მარტი						
18:00	50	რიდინგი-ბარნლინგტონი	2.55	3.3	2.35	1.43	1.22	1.37
18:00	51	ვეიმუთი-საუთენდი	3.0	3.3	2.1	1.57	1.23	1.28
18:00	52	სელჰერსტი-სვინდონი	2.35	3.2	2.6	1.35	1.23	1.43
18:00	53	ნორვიჩი-ბერი	2.2	3.3	2.8	1.32	1.23	1.51
18:00	54	გრიმსბი-როჩდეილი	1.8	3.3	3.85	1.16	1.22	1.77
18:00	55	კიდერმინსტერი-ტერნფორდი	2.25	3.3	2.8	1.33	1.24	1.51
18:00	56	შეფილდი-ბრაიტონი	1.6	3.5	5.0	1.09	1.21	2.05
18:00	57	ნორთჰემპტონი-ბრეინტრი	1.6	3.5	5.0	1.09	1.21	2.05
18:00	58	ოქსფორდი-ლეიტონი	1.85	3.4	3.5	1.19	1.21	1.72
18:00	59	რიჩმონდი-ეიფორდი	2.2	3.3	2.8	1.32	1.23	1.51
22:45	60	ლინოლნი-სანდერლენდი	2.25	3.3	2.7	1.33	1.22	1.48
		29 მარტი						
22:45	61	ოლდჰემი-ნიუბერი	1.4	3.7	7.0	1.01	1.16	2.42
		ინგლისი. კონფერენსი						
		28 მარტი						
15:00	74	ლეი-ტორეიფეი	3.6	3.4	1.8	1.74	1.2	1.17
18:00	75	ყარადონი-ბარეტონი	1.8	3.4	3.8	1.17	1.22	1.79
18:00	76	ტეფორთი-სტოკფორდი	2.55	3.2	2.4	1.41	1.23	1.37
18:00	77	ფრინგტონი-ოლდბერი	1.55	3.5	5.0	1.07	1.18	2.05
18:00	78	ბარნეტი-ლინეი	1.35	4.2	7.0	1.02	1.13	2.62
18:00	79	დაგ ენდ რედი-ფოლეი	2.15	3.2	2.8	1.28	1.21	1.49
18:00	80	ექსეტერი-ფარნბოროუ	1.4	3.8	6.5	1.02	1.15	2.39
18:00	81	გრეიფსენდი-ფოლკსტონი	1.7	3.4	4.0	1.13	1.19	1.83
18:00	82	ტრეფორდი-ნიუბერეი	1.55	3.5	5.0	1.07	1.18	2.05
20:35	83	კარლაილი-ალდერშოტი	2.05	3.3	3.0	1.26	1.21	1.57
		გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)						
		28 მარტი						
16:00	136	ალტენბერნი-ეშ�ი	1.3	4.5	7.0	1.0	1.09	2.73
		გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)						
		28 მარტი						
17:00	150	აალენი-დარმშტადი	2.4	3.3	2.45	1.38	1.21	1.4
17:00	151	კიბლენეგი-ბოდენსაიმი	2.15	3.3	2.8	1.3	1.21	1.51
17:00	152	ბოენჰეინი(II)-ელვერსბერგი	2.0	3.3	3.1	1.24	1.21	1.59
17:00	153	ფულენდორფი-შტუტგარტი(II)	2.1	3.3	2.85	1.28	1.2	1.52
		შვეიცარია. ჩემპიონატი						
		28 მარტი						
16:30	183	ოუფენბუხი-ლუგანო	3.4	3.1	1.95	1.62	1.23	1.19
16:30	184	ვინტერთური-ოლტენი	2.65	3.2	2.25	1.44	1.21	1.32
16:30	185	ბიელი-ლოკეროდა	1.85	3.3	3.5	1.18	1.21	1.69
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		28 მარტი						
20:00	267	ტრეა-კლერმონი	1.55	3.2	6.5	1.04	1.25	2.14
		ჰოლანდია. II დივიზიონი						
		28 მარტი						
16:30	305	ვოლენდამი-ტელსტარი	1.9	3.5	3.3	1.23	1.2	1.69
16:30	306	ხეარდინაარდენი	2.2	3.4	2.8	1.33	1.23	1.53
		ჩეხეთი						
		29 მარტი						
19:00	449	ბანიკი-ოსტრავა	1.5	3.6	5.8	1.05	1.19	2.22
19:00	450	ბოლესლავი-ბუდეიოვიცე(ჯ)	1.75	3.3	4.2	1.14	1.23	1.84
		დანია. I დივიზიონი						
		28 მარტი						
15:00	399	ფრედერიკია-ფრედერიციელა	1.6	3.7	4.6	1.11	1.18	[illegible]
15:00	400	ფრედერიკე

საქართველოს ჩემპიონატი

კალათბურთის რემონტი ტაბლოდანაა დასაწყები

„დინამომ“ სტუ-ს აღმაფრენით მოუგო

სტუ 88:94 დინამო

20:27 19:19 22:28 27:20

სტუ: დ. ბერიშვილი (7), კეიდია (2), გაგნიძე, კოხრეიძე (5), შანიძე (22), მარკოიშვილი (13), ჯაფარიძე (26), გოგობერიშვილი (13), მიქაძე

დინამო: გამყრელიძე (16), ხეცურიანი (20), ბ. ბერიშვილი (9), კვიშაძე, კილაძე (8), დერიუგინი (2), სუხიშვილი (6), ჩხატარაშვილი (17), ლაფანაშვილი (16), კოღუაშვილი

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

მაკაბი 77:86 სსუ

20:26 23:20 21:18 13:22

მაკაბი: ვაშაკიძე (26), კორკოტაძე (3), მერებაშვილი (11), შერმადინი (16), ენუქიძე (6), გვარამაძე, ბადრიძე (15)

სსუ: ჩიტაშვილი (27), იმედაშვილი (2), პატარაია (3), ზანგურაშვილი (13), ქვილითაია (10), ონიკაშვილი (3), გოლეთიანი (12), მეტრეველი (16)

მსაჯები: ლიკა ქაჯაია, მალხაზ ანდღულაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

თსუ 84:76 ავიამშენი

14:24 18:12 21:20 31:20

თსუ: გაფრინდაშვილი (2), მაისურაძე (10), ფანჩულიძე (14), ბაქრაძე (5), მარხვაშვილი (15), ვეფხვაძე (9), სანიკიძე (5), კოკოლაშვილი (11), ხიზანიშვილი (2), მ. ბერიშვილი (11)

ავიამშენი: თორთლაძე (4), ნიკოლაძე (23), ხოშტარია (5), შენგელია (12), წოწელია (8), ნინიაშვილი (10), ორმოცაძე (9), ბოლქვაძე (3), ბერძენიშვილი (2), ბ.ნოზაძე

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

27 მარტი. რუსთავი

თუჯი 102:71 ბურჯი

ირაკლი პერტაია

გუშინ ვერის ბაღში სამი საინტერესო მატჩი გაიმართა, თუმც ვინძლო პირველ რიგში იმ უხერხული ფაქტის გამორჩება ღირდეს, ამ თამაშებს შავ ლაქად რომ გასდევდა და ელეგერს უკარგავდა. ისეთიც არაფერი ხდებოდა, ტაბლო არ იყო მწყობრში და მაყურებელი თუ მთიმაშე რეპროდუქტორის გარეშე რეალურ ანგარიშს ვერ იგებდა. ბატონი კაკო მეგრელაძე კი დიდ გაწამაწიაში გახლდათ, თითოეული ჩაგდებული ბურთის შემდეგ უხდებოდა ანგარიშის გამოცხადება. ტაბლო მუშაობდა, მაგრამ მდინის გემოზე კი არა, თავის იშტაზე და ძირითადად ცრუ ანგარიშს უჩვენებდა.

არადა, იმავ ტაბლოზე უზარმაზარი ფირნიში იყო გაკრული და ზედ დიდი ასოებით ეწერა: „ავტოგაზი“. რეპროდუქტორი დროდადრო გვახსენებდა, რომ მიმდინარე ამბების სპონსორი სწორედ ეს კომპანიაა. ისე, უცნაური დამთხვევა: ერიუნული ჩემპიონატის კიდევ ერთი სპონსორის, კომპანია „ნუკოილის“ ლოგო ამას წინათ იმ ფიცარნაგზე მოხატეს, რომელსაც თითქმის ყველა კალათბურთელი უჩივის, ფეხი ცურაესო, ახლა კი მორიგი სპონსორის ფირნიში დაფეხვილ ტაბლოზე გამოფინეს.

ასე იყო თუ ისე, გუშინ ვერის ბალმა მორიგ ტურს უმასპინძლა და ცენტრალური გახლდათ „დინამო“ — სტუ-ს შეხვედრა. წინასამატჩო პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ ეს თამაში ტექნიკოსებისთვის უფრო პრინციპული, რადგან ისინი რეგულარული ჩემპიონატის მოგებას ემურებიან, ხოლო „დინამოს“ ამ გამარჯვებით ჰლეი ოფის წინ ხასიათს თუ გამიკეთებსო.

ერთიც იყო — ამ სეზონში „სტუ ჯეოსელს“ „დინამო“ სამივე აქამდელ შეხვედრაში დაემარცხებინა და ვიცეჩემპიონს საკუთარი პატივმოყვარეობაც ჰქონდა დასაკმაყოფილებელი. ჰოდა, დაიკმაყოფილა კიდეც“

„დინამომ“ გუშინ ძალიან გონივრულად ითამაშა. ზურაბ ტომარაძემ თავის სამწყსოს რა დავალებაც მისცა, თითქმის ყველაფერი შეძლებისდაგვარად შესრულდა — ტყორცნა, ზონაში ჩადგომა თუ კონტრშეტევების განხორციელება.

ორივე გუნდმა თავიდანვე თამაშის სწრაფი ტემპი აირჩია, რაშიც „დინამომ“ იყოჩაღა და სტუ-ს მცდელობა, ფარქვეშ გაბატონებით დაებალანსებინა მეტოქის უპირატესობა, მცდელობადვე დარჩა. ლაშა გამყრელიძე, ნიკა ჩხატარაშვილი, ბუბა ბერიშვილი და სხვა დინამოელები უკანმოუხედავად უტევდნენ და თითქმის ყველა შეტევას შედეგიანად აგვირგვინებდნენ. იქით შიო ხეცურიანი ჩასაფრებულიყო პერიმეტრზე და სტუ-ს კალათს უმოწყალოდ ბომბავდა.

„დინამო“ დაცვაში ზონურ წყობას იყენებდა და ეს იმდენად კარგად გამოსდიოდა, რომ სტუ-მ თავისი ცენტრალური თავდამსხმელი ირაკლი ჯაფარიძე ფორვარდ ირაკლი კეიდათი შეცვალა. ანუ სტუ-მაც სწრაფად თამაში განიზრახა, თუმც კარგა ხანს უშედეგოდ ცდილობდა, „დინამოსთვის“ ტემპი აეწყო.

ამასობაში პირველი მეოთხედი მიიწურა, მეორე დაიწყო და დინამოელთა უპირატესობამ ათ ქულას მიაღწია — 37:27.

სტუ-ს თავკაცმა ნუგზარ ჭეიშვილმა მოედანზე ჯაფარიძე დააბრუნა და თავადაც ზონაში შეიკეტა. ტექნიკოსებს კარგად გამოუვიდათ თავდაცვა, ხოლო ასეთ დროს, როცა საკუთარ ნახევარზე ყოჩაღობ, შეტევაშიც გიიოლდება საქმე და სტუ-მაც ცოტა ამოისუნთქა. ჯაფარიძემ და ლუკა შანიძემ რამდენიმე კონტრშეტევა შედეგიანად დააგვირგვინეს და დიდი შესვენებისთვის სტუდენტები მეტოქეს 7 ქულით მიუახლოვდნენ — 39:46.

შესვენებიდან მობრუნებულმა სტუ-მ კარგა ხანს ერთი ხეირიანი კომბინაციაც ვერ გათამაშა. დინამოელები კი, იცოცხლე, ჩაუქობდნენ — იქით გამყრელიძე მექულეობდა, აქეთ ლაფანაშვილი და მესამე მეოთხედის ამოწურვამდე სამი წუთით ადრე „დინამოს“ 20-ქულიანი ლიდერობა დაფიქსირდა — 68:48.

ამ სამ წუთში სტუ-მ იმდენი მაინც მოახერხა, რომ გადამწყვეტი მეოთხედისთვის შანსი დაიტოვა. შანიძემ მისთვის ზოგადად ჩვეული, ამ მატჩში კი იშვიათად დამახასიათებელი მიზანი გამოიჩინა და ბოლო შესვენებაზე სტუ 13-ქულიანი ჩამორჩენით გავიდა.

თამაში განახლდა და სტუ-ც გამოცოცხლდა. ეს თითქოს კანონზომიერება იყო, რადგან ამ გუნდებს შორის იმხელა სხვაობა არაა, რომ მთელი თამაში ერთი გუნდის კარნახით წარიმართოს. ჰოდა, სტუ-ს ჯერიც დადგა და ჭეიშვილის ბიჭებიც ნელნელა ამცირებდნენ სხვაობას.

„დინამო“ დაიბნა და ამით სტუდენტებმა მშვენივრად ისარგებლეს. დაცვაში ყოჩაღობას ტექნიკოსები შეტევაში შედეგიანობასაც უთავსებდნენ და მეოთხე ათწუთეულის შუაწელში „დინამოს“ უპირატესობა ათქულიან ზღვარს ჩამოსცდა.

ჩვეულად აქტიურობდნენ ჯაფარიძე, შანიძე, გოგობერიშვილი და სტუ-ს სხვა ლიდერები, თუმც მოულოდნელად ახალგაზდა შალვა კოხრეიძე ათამაშდა, რომელმაც ჯერ საჭირო ორქულიანი ჩააგდო და მერე უმნიშვნელოვანესი სამიანიც სტყორცნა — 87:84 „დინამოს“ სასარგებლოდ.

თამაშის დასრულებამდე 3 წუთი რჩებოდა, ანუ ტექნიკოსებს საკმარისი დრო ჰქონდაც ამ ოთხი ქულის გასაათვალისწინებლად, მაგრამ... ბუბა ბერიაშვილმა შორი სამქულიანი ჩაგდო და ეს შვიდქულიანი ლიდერობა სტუ-სთვის დაუძლეველ ბარიერად იქცა დარჩენილ დროში.

სტუ	25	22	4	+494	47
ავიამშენი	25	20	5	+490	45
დინამო	25	19	6	+474	44
თსუ	25	15	10	+233	39
თუჯი	25	14	11	+166	39
მაკაბი	25	5	20	-496	30
სსუ	25	3	22	-731	28
ბურჯი	25	3	22	-518	28

NBA რეგულარული ჩემპიონატი

25 მარტი

გოლდენ სტეიტი 118:117 მილუოკი

ძირითადი დრო 105:105

გოლდენ სტეიტი: დევისი (29 ქულა, 11 პასი), რიჩარდსონი (24), დანლივი (11), მერფი (15), ფოილი (6 ქულა, 14 მოხსნა); პიეტრუსი (18), ბიედრინსი (6), ფიშერი (5), ჩაბარკაპა (4)

ცვლითშვილი სათადარიგო იყო

მილუოკი: უილიამსი (17), რედი (33), მეისონი (32), სმიტი (11 ქულა, 10 მოხსნა), გაძურიჩი (4); **შარშელია** (30 წუთი, 13 ქულა, 9 მოხსნა, 2 დაფარება, 1 ჩაჭრა), გოლდვაირი (5), კუკოჩი (2), ფიზერი, სტრიკლენდი

სიეტლი 109:101 ნიუ იორკი

ძირითადი დრო 95:95

სიეტლი: ალენი (40), ლუისი (30)

ნიუ იორკი: მარბერი (31), ტ. ტომასი (19)

კლიპერსი 98:94 ვაშინგტონი

კლიპერსი: მეჯიტი (26), ბრენდი (25 ქულა, 10 მოხსნა), რებრაჩა (19)

ვაშინგტონი: არენასი (33), ჰიუზი (21 ქულა, 9 პასი, 6 ჩაჭრა)

სან ანტონიო 111:95 ატლანტა

სან ანტონიო: ჯინობილი (23), ბრაუნი (23), პარკერი (22)

ატლანტა: დელკი (24), ჰარინგტონი (20)

ნიუ ორლეანი 68:81 ჰიუსტონი

ნიუ ორლეანი: ნეილონი (17)

ჰიუსტონი: სურა (19 ქულა, 11 პასი), ვესლი (15)

დეტროიტი 81:94 ინდიანა

დეტროიტი: ბილაფსი (23), რ. ვოლესი (15)

ინდიანა: კროშერი (15), მილერი (14)

მაიამი 125:115 ფინიქსი

მაიამი: ვეიდი (35 ქულა, 9 პასი, 6 მოხსნა), ონილი (25), ე. ჯონსი (23)

ფინიქსი: რიჩარდსონი (26), სტუდემაიერი (25), ნეში (19 ქულა, 14 პასი)

ბოსტონი 86:94 ჩიკაგო

ბოსტონი: უოლკერი (18 ქულა, 12 მოხსნა), პირსი (18)

ჩიკაგო: კარი (16)

ფილადელფია 103:101 ტორონტო

ფილადელფია: აივერსონი (36), ვებერი (32)

ტორონტო: მარშალი (26), ბოში (24 ქულა, 22 მოხსნა), ალსტონი (18 ქულა, 10 პასი)

26 მარტი

იუტა 94:89 მილუოკი

იუტა: მაკლეოდი (6), ბელი (23), ჰარპრინგი (12), ჰამფრიზი (17), კოლინზი (2); გირარეკი (13), ოქური (9), ჰენდლოგტენი (7), ეისლი (5), სნაიდერი, ბორჩარტი

მილუოკი: უილიამსი (19), რედი (14), მეისონი (16), სმიტი (6), გაძურიჩი (2); კუკოჩი (13), ფიზერი (10), **შარშელია** (16 წუთი, 5 ქულა, 5 მოხსნა, 1 ჩაჭრა), გოლდვაირი (2), სტრიკლენდი (2), ბუთი

დენვერი 113:99 საკრამენტო

დენვერი: ენტონი (28), მილერი (18)

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (24)

დალასი 117:86 კლივლენდი

დალასი: ფინლი (26), ვან ჰორნი (23)

კლივლენდი: ჯეიმსი (19), გუდენი (16)

ჩიკაგო 100:96 ინდიანა

ჩიკაგო: კარი (27), გორდონი (20)

ინდიანა: ჯეკსონი (34), ჯონსი (20)

მემფისი 85:96 ნიუ ორლეანი

მემფისი: კარდინალი (17)

ნიუ ორლეანი: სმიტი (33), ბრაუნი (19)

პორტლენდი 103:96 ნიუ იორკი

პორტლენდი: სტუდემაიერი (25)

ნიუ იორკი: ტ. ტომასი (30), მარბერი (21)

ნიუ ჯერსი 75:96 მინესოტა

ნიუ ჯერსი: კარტერი (16)

მინესოტა: კასელი (23)

შარლოტი 94:92 მაიამი

შარლოტი: ბრეჟეკი (27 ქულა, 11 მოხსნა), ვოლესი (17)

მაიამი: ონილი (26 ქულა, 16 მოხსნა), ვეიდი (19)

ატლანტა 104:109 ტორონტო

ატლანტა: დელკი (21), ჩილდრესი (19 ქულა, 10 მოხსნა), სმიტი (19)

ტორონტო: ბოში (32 ქულა, 11 მოხსნა), როუზი (26)

ორლანდო 116:118 ფინიქსი

ორლანდო: ჰილი (26), სტივენსონი (22), ნელსონი (19)

ფინიქსი: მარიონი (27 ქულა, 14 მოხსნა), ჯონსონი (26), ნეში (23 ქულა, 12 პასი)

დეტროიტი 105:99 ბოსტონი

ძირითადი დრო 89:89

დეტროიტი: რ. ვოლესი (31 ქულა, 11 მოხსნა), ჰამილტონი (22 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი), ბილაფსი (20)

ბოსტონი: პირსი (32)

AFP სიეტლიდან

სიეტლელმა რეი ალენმა „ნიუ იორკს“ 40 ქულა ჩაუგდო

აღმოსავლეთი

მაიამი	53	18	74,6
დეტროიტი	43	26	62,3
ბოსტონი	38	32	54,3
ვაშინგტონი	37	30	55,2
ჩიკაგო	37	31	54,4
კლივლენდი	35	32	52,2
ინდიანა	35	34	50,7
ფილადელფია	34	34	50,0
ორლანდო	32	37	46,4
ნიუ ჯერსი	32	38	45,7
ნიუ იორკი	29	39	42,6
ტორონტო	29	40	42,0
მილუოკი	27	42	39,1
შარლოტი	15	53	22,1
ატლანტა	11	58	15,9

დასავლეთი

ფინიქსი	52	17	75,4
სან ანტონიო	51	18	73,9
სიეტლი	48	20	70,6
დალასი	46	23	66,7
ჰიუსტონი	42	27	60,9
საკრამენტო	43	28	60,6
მემფისი	39	29	57,4
დენვერი	38	30	55,9
მინესოტა	36	34	51,4
ლოს ანჯელესი	32	36	47,1
კლიპერსი	32	37	46,4
პორტლენდი	24	44	35,3
გოლდენ სტეიტი	24	45	34,8
იუტა	22	47	30,0
ნიუ ორლეანი	16	53	23,2

პირველი სამი ადგილი დივიზიონის ლიდერებს უჭირავთ

რევანში დათვებთან

ნიკო ჭაგჭაგაძე და მამუკა ტყეშელაშვილი

ევროპის თვრამეტწლამდელ მორაგბეთა ჩემპიონატიდან საქართველოს ნაკრები მეხუთე ადგილით ბრუნდება. საფრანგეთში მამუკა ტყეშელაშვილისა და ნიკო ჭაგჭაგაძის შეგირდებმა სამი თამაში ჩაატარეს და ორში იმარჯვეს. რუმინეთის ძლევისა და A ჯგუფში ადგილის შენარჩუნების შემდეგ გუშინწინ ისინი რუს „დათვებს" დაუპირისპირდნენ და შარშანდელი მარცხის გამო რევანში აიღეს.

პატარა ბორჯღალოსნებმა უპირატესობა პირველსავე ტაიმში მოიპოვეს, თუმც მეტოქე აშკარად შესვენების შემდეგ დაჩაგრეს, რაც ანგარიშიდანაც კარგად ჩანს — 21:7.

ევროპული რაგბის შეფების გადაწყვეტილებით, A ჯგუფს გაისად ორი ახალწვეული ეყოლება. პირველი უელსია, რომელიც ელიტაში ყოველგვარი შესარჩევი მატჩების გარეშე შეიყვანეს, მეორე ადგილი კი B ჯგუფის ჩემპიონ პორტუგალიას ერგო. ეს ის გუნდია, შარშან უძლიერესი ლიგა ქართველებმა რომ დაატოვებინეს.

ფრანგული კვირეულის შემდეგ მინიმუმ ერთი წლით რუმინეთი და ესპანეთი დაქვეითდნენ.

ოთარ მაღლაკელიძე

საქართველო ბოლოა

24 მარტი

პოლონეთი 27:18 საქართველო
საფრანგეთი 32:22 რუსეთი

25 მარტი

საფრანგეთი 33:22 საქართველო
პოლონეთი 27:24 რუსეთი

26 მარტი

რუსეთი 36:29 საქართველო
საფრანგეთი 21:21 პოლონეთი

პოლონეთის ქალაქ პოზნანის გარეუბან ობორნიკში დასრულდა 21-წლამდელ ხელბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც საფრანგეთის, რუსეთის, პოლონეთისა და საქართველოს ნაკრებები გამოდიოდნენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენმა ბიჭებმა სამივე თამაში წააგეს, შესაბამისად 9, 11 და 7-ბურთიანი პასივით და ბოლო ადგილზე დარჩნენ.

პირველობისთვის მწვავე ბრძოლა გააჩაღეს ფრანგმა და პოლონელმა თანატოლებმა. ბოლო დღეს მათი ურთიერთშეხვედრა თავიდან ბოლომდე თანაბარი და დაძაბული იყო. ტაიმიც (10:10) და მატჩიც ფრედ დასრულდა. ეს შედეგი საფრანგეთის ნაკრებს აძლევდა ხელს, რადგან ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით ჯგუფში პირველი ადგილი ერგო და აგვისტოში უნგრეთში გასამართ ფინალური ეტაპის საგზურიც მოიპოვა.

ჩვენთვის ოდნავ სასიამოვნო ისაა, რომ ტურნირის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე გახდა „სტუ-შევარდენის" ფორვარდი ვლადიმერ რუსია, რომელმაც სამ თამაშში 29 (10+8+11) გოლი გაიტანა.

საბოლოო ვითარება

საფრანგეთი	2	1	0	86:65	5
პოლონეთი	2	1	0	75:63	5
რუსეთი	1	0	2	82:88	2
საქართველო	0	0	3	69:96	0

V ტური

25 მარტი

პალმერსტონი. ახალი ზელანდია

ჰარიკეინსი 12:9 სტორმერსი

ჰარიკეინსი — 3 საჯარიმო: გოპერთი; არეკნი: გოპერთი

სტორმერსი — 3 საჯარიმო: როსოუ

იოჰანესბურგი. სამხრეთ აფრიკა

ქეთსი 12:16 ჰაილენდერსი

ქეთსი — 4 საჯარიმო: პრეტორიუსი

ჰაილენდერსი — ლელო: ნიუბი

გარდასახვა: ბლერი; 3 საჯარიმო: ბლერი

26 მარტი

სიდნეი. ავსტრალია

ვარატასი 42:12 ბულზი

ვარატატსი — 4 ლელო: ჰიუვეთი (3); ფრაიერი

2 გარდასახვა: ჰიუვეთი; 5 საჯარიმო: ჰიუვეთი; არეკნი: ბერნი

ბულზი — 2 ლელო: ნდუნგანე, ციმბა

გარდასახვა: ციმბა

დურბანი. სამხრეთ აფრიკა

შარქსი 36:24 ბრამბისი

შარქსი — 5 ლელო: გუვსი, პინაარი (2), იაკობსი, ბრიტცი

4 გარდასახვა: პინაარი; საჯარიმო: პინაარი

ბრამბისი: 3 ლელო: ჟიტო, პოლი, სამო

3 გარდასახვა: ჟიტო; საჯარიმო: ჟიტო

გულის სიდიდის საზომი და ახალი ცოცხის ამბავი



რუან პინაარმა „შარქს" ჩემპიონთან მოაგებინა

ზე-თორმეტის გათამაშებაში 25-26 მარტს მეხუთე ტური გაიმართა, რომელიც, წინა ტურებისგან განსხვავებით, მატჩნაკლული გახლდათ. „ბლუზი", „ქრუზეიდერსი", „ჩიფსი" და „რედსი" ისვენებდნენ, დარჩენილი 8 გუნდი კი ოთხად დაწყვილდა და ერთმანეთში იბრძოლეს.

პალმერსტონში „ჰარიკეინსმა" ანგარიშით 12:9 „სტორმერსს" სძლია და „ბულზთან" წინა ტურში ნაგემი მარცხის გამო გაუარესებული სატურნირო მდგომარეობა ისევ გამოისწორა. „სტორმერსს" ამ მატჩამდე 2 წაგება, 1 ფრე და 1 მოგება ჰქონდა, თუმცა სტუმრად გამგზავრებულები უბრძოლველად არაფრის დათმობას არ აპირებდნენ და აკი მხოლოდ ბოლო წუთზედა დამარცხდნენ.

თამაშში ლელო არ გასულა, თუმცა მოსაწყენი ბურთაობა იყო, ვერავინ იტყვის, რაც მატჩს სილამაზის მხრივ დააკლდა, დაძაბულობამ აანაზღაურა.

პირველ ტაიმში ისე მოწყვიტა, რომ ხელით თამაში ან ფეხზე დგომა იოლი საქმე არ გახლდათ და გუნდებმაც შორეული დარტყმების წყალობით ამჯობინეს ქულის გასვლა. ამ მხრივ „სტორმერსმა" უფრო იღბალი და როსოუს 2 ზუსტი საჯარიმოს წყალობით, რომელსაც მასპინძლებმა გოპერთის 1 დარტყმით უპასუხეს, „ჰარიკეინსი" გასახდელში თავჩაქინდრული გავიდა.

მეორე ტაიმში როსოუმ კიდევ ერთი საჯარიმოს შეგდება მოახერხა და სტუმრები უკვე 9:3 დაწინაურდნენ, თუმცა გოპერთიმ საჯარიმოებითვე ალაღვინა წონასწორობა. ბოლო წუთზე იმავე გოპერთიმ არეკნიც შეაგდო და მასპინძლებმა 12:9 იმარჯვეს.

იმავე დღეს „ქეთსი" იოჰანესბურგში „ჰაილენდერსს" მასპინძლობდა. სტუმრებმა მოლოდინისამებრ კი გაიმარჯვეს, თუმცა მხოლოდ 4-ქულიანი სხვაობით.

ლელოების მხრივ ეს თამაშიც მწირი აღმოჩნდა, თუმცა სტუმრებმა ერთის გატანა მაინც მოახერხეს. ლელო ნიუბის ანგარიშზეა, დანარჩენი ქულები კი ბლერმა დააგროვა, გარდასახვისა და 3 საჯარიმოს წყალობით. „კატების" მხრიდან ერთადერთი შედეგიანი პრეტორიუსი აღმოჩნდა, რომელმაც ოთხჯერ შეძლო საჯარიმოს ზუსტად დარტყმა, მატჩი კი 12:16 დასრულდა.

„ბულზი" რომ წლეულს ძალიან არასტაბილურად თამაშობს, ამას ბავშვიც კი მიხვდება, თავად განსაჯეთ, ჯერ არცთუ ძლიერ „ქეთსთან" წააგო მატჩი, შემდეგ კი ჩემპიონ „ბრამბისს" ტოლ-სწორად ეთამაშა და მხოლოდ 2 ქულა დათმო, ამის შემდეგ „ჰაილენდერსთან" განადგურდა და თითქოს ჩამოვწერეთ კიდეც, რომ აიღო და ძლიერი „ჰარიკეინსი" დადო ბეჭებზე. ერთი სიტყვით, ისეთი გუნდია, როდის რა ფოკუსს ჩაატარებს, არავინ იცის. სწორედ ამისი იმედი თუ ექნებოდათ „ხარების" გულშემატკივრებს შაბათს მატჩის წინ. ხუმრობა საქმე ხომ არაა, „ბულზი" სიდნეიში გაემგზავრა ჩემპიონობისთვის დაგეშილი „ვარატასის" წინააღმდეგ სათამაშოდ.

ნდუნგანესა და ციმბას 2 ლელოსა და იმავე ციმბას კინკილა გარდასახვის წყალობით „ხარებმა" 12 ქულა კი მოაგროვეს, მაგრამ ახალი ფოკუსის ჩასატარებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, ვინაიდან „ვარატასმა" 4 ლელო გაიტანა, ამის ნახევარი გარდასახა, 5 საჯარიმო გამოიყენა და ერთიც არეკნი მიაყოლა. რომ დავთვალოთ, 42 ქულა გამოდის, რაც 12-ზე გაცილებით მეტია, იმდენად მეტი, რომ გამარჯვებისთვის კუთვნილ 4 ქულასთან ერთად მასპინძლებმა 1 ბონუს ქულაც მოინაგრეს და ცხრილს ახლა დამაჯერებლად ლიდერობენ.

მოქმედი ჩემპიონი, ავსტრალიური „ბრამბისი" სტუმრად დურბანში „შარქსს" მიუხდა და სენსაციური შედეგიც გამოცხვა. „ზვიგენებმა", რომლებიც მატჩამდე ცხრილის ფსკერზე იყვნენ, მრისხანე მეტოქეს მოგელი 12 ქულით აჯობეს და 36:24 დაამარცხეს. მეტიც, „შარქსმა" 5 ლელოს გატანისათვის 1 ბონუს ქულაც ირგუნა. ზედიზედ 4 წაგების შემდეგ გუნდს ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს. ახალი ცოცხი კარგად გვისო კი ამბობენ, თუმცა ვინ იფიქრებდა, სადებიუტო მატჩშივე თუ ჩემპიონის ჩათვლის მოულოდნელ დაწყებდა ხვეტას.

დაცვა მედგრად იდგა, წინ კი მოთამაშეები ხალისით ათამაშებდნენ ბურთს, საბოლოო ჯამში „შარქსმა" გულშემატკივარს ნამდვილი ზეიმი მოუწყო.

გუნდის კაპიტანმა ჯონ სმიტმა მაინც დაცვის კარგი თამაში აღნიშნა.

„დაცვა ეს ის საზომია, რომლითაც გუნდის გულის სიდიდე იზომება" — განაცხადა მან.

„ზვიგენთა" მხრიდან ლელოები გუვსმა, იაკობსმა და ბრეტცმა გაიტანეს, პინაარმა კი იგივე ორჯერ მოახერხა. იმავ პინაარმა ხუთიდან 4 გარდასახვა დაარტყა ზუსტად, ერთხელაც საჯარიმოს დარტყმისას ივარგა.

„ბრამბისის" შემადგენლობაში ყველაზე გამორჩეული ჟიტო გახლდათ. 1 ლელო თავადვე გაიტანა და გარდასახა, შემდეგ კი პოლის და სამოს ლელოებსაც ზუსტი დარტყმები მიაყოლა. ერთიც საჯარიმო დაარტყა ზუსტად.

ამ მარცხის შემდეგ „ბრამბისს" ტიტულის შენარჩუნებისათვის გვარიანი ოფლის ღვრა მოუწევს. „ვარატასი" უკვე 6 ქულით გაიჭრა წინ.

ლადო ფულუკიძე

	თ	მ	ფ	წ	ს	ბ	ქ
ვარატასი	5	5	0	0	107	4	24
ბრამბისი	5	4	0	1	9	2	18
ჰარიკეინსი	5	4	0	1	27	1	17
ქრუზეიდერსი	4	3	0	1	78	3	15
ჰაილენდერსი	5	3	1	1	47	1	15
სტორმერსი	5	1	1	3	-7	2	8
ბლუზი	4	2	0	2	-12	0	8
ქეთსი	5	1	0	4	-37	3	7
რედსი	4	1	0	3	-38	2	6
ბულზი	5	1	0	4	-52	2	6
შარქსი	5	1	0	4	-67	2	6
ჩიფსი	4	1	0	3	-55	0	4



ბურაგ დოლიდაძეების ფოტო

დეპარტამენტის კლდეზე შენარჩუნებული ჩემპიონობა

მეკლდეურობა — სპორტის ეს ლამაზი სახეობა, რომელიც ჩვენს სულს ასე კარგად შეერწყა, საქართველოში აღორძინების გზაზეა და მსოფლიოშიც უფრო და უფრო პოპულარული ხდება. ლაპარაკია იმაზეც, რომ მეკლდეურობა ოლიმპიადების პროგრამაში შეიტანონ.

პარასკევსა და შაბათს საქართველოს სპორტის დეპარტამენტის დარბაზში ორდღიანი ტურნირი მიეწყო, რომელიც ცნობილი ქართველი მწვერვალ უშბაზე დალუპული მეკლდეურისა და და მთამსვლელის, ორივე სახეობაში სსრ კავშირის ჩემპიონის, ირაკლი გელდიაშვილის ხსოვნას მიეძღვნა.

ეს მემორიალური საქართველოს პირველობა ორ წრედ ჩატარდა. პირველ დღეს სპორტსმენები წყვილთა გარბენში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, მეორე დღეს კი რთულ ცოცვაში.

გამარჯვებულთა ვინაობა ორჭიდის ჯამში გამოვლინდა. ქალთა შორის პირველი ადგილი საქართველოს მრავალზგის ჩემპიონმა ნინო ჩარკვიანმა დაიკავა, მეორე ადგილის გამოსავლენად კი თაკო დიდებულიძეს და ნონა ოქიტაშვილს შორის ხელახალი ციკლის დანიშვნა გახდა საჭირო. საბოლოოდ თაკო დიდებულიძემ იმარჯვა და მეორე ადგილზე გავიდა, ნონა კი — მესამეზე.

ხელოვნურ კლდეზე ერთი დამატებითი „გარბენი" ადგილების გადასანაწილებლად ვაჟებსაც დასჭირდათ. საბოლოო ჯამში პირველი ადგილი საქართველოს ჩემპიონობა ავთანდილ ქურასბედიანმა მოიპოვა, მეორე-მესამე პოზიცია კი შესაბამისად გურამ გაზდელიანმა და ალეკო დოლიაშვილმა დაიკავეს.

პრიზიორები სპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი უდესიანმა და მისმა მოადგილემ მერაბ ჩიქობავამ დააჯილდოვეს. მეკლდეურობის ფედერაციის პრეზიდენტმა ლადო გურჩიანმა კი აღნიშნა, რომ არა ამ ხალხისა და მოლიანად სპორტის საქალაქო სამსახურის ძალისხმევა, მეკლდეურობის განვითარება საქართველოში შეუძლებელი იქნებოდაო.

ლადო ფულუკიძე

ბურაგ დოლიდაძეების ფოტო

ნინო ჩარკვიანმა და ავთანდილ ქურასბედიანმა საქართველოს დროშა აღმართეს, ასპარეზობაში გაიმარჯვეს და ტურნირიც დახურეს

ჭინკა ჟუსტინის დაბრუნება

NASDAQ-100 OPEN

მაიამი. მაგარსაფარი კაცები. საპრიზო 3,2 მლნ. $

მეორე წრე

პარასკევი. 25 მარტი

ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) — ენდი როდიკი (2, აშშ) 7:6 (11:9) 4:3 როდიკმა შეწყვიტა; **მარატ საფინი** (3, რუსეთი) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 6:4 2:6 7:6 (7:5); **კარლოს მოია** (5, ესპანეთი) — ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 4:6 7:5 7:6 (8:6); **დავიდ ნალბანდიანი** (8, არგენტინა) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:3 6:3; **ხუან კარლოს ფერერო** (ესპანეთი) — გილერმო კანასი (11, არგენტინა) 6:4 2:6 6:4; **ტომი როგრედო** (12, ესპანეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:4 6:0; **ივან ლიუბიჩიჩი** (13, ხორვატია) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:3 6:3; **გელ მონფი** (საფრანგეთი) — ნიკოლაი დავიდენკო (14, რუსეთი) 4:6 6:1 6:4; ვინს სპედია (21, აშშ) — რობი ჯინეპრი (აშშ) 6:3 6:4; **ირჟი ნოვაკი** (24, ჩეხეთი) — კევინ კიმი (აშშ) 6:1 6:2; **ტომას იოჰანსონი** (25, შვედეთი) — გრეგ რუზეიკი (ბრიტანეთი) 6:3 6:4; **დომინიკ ჰრბატი** (26, სლოვაკეთი) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 6:3 6:4; **რაფაელ ნადალი** (29, ესპანეთი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:4 7:6 (7:5); **დავიდ ფერერი** (ესპანეთი) — ქსავიე მალისი (ბელგია) 3:6 5:5 მალისი მსაჯის მიერ იქნა ოტებული

ქალები. საპრიზო 3,115 მლნ $

მარია შარაპოვა (2, რუსეთი) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 6:0 6:4; **სერენა უილიამსი** (3, აშშ) — ვერა დუშევინა (რუსეთი) 6:3 6:0; **ალიშა მოლიკი** (7, ავსტრალია) — ნიკოლა პრატი (ავსტრალია) 6:2 6:3; **ვინუს უილიამსი** (8, აშშ) — ანალინა გრიონეფელდი (გერმანია) 6:2 6:0; **ნურია ლიაგოსტერა ვივესი** (ესპანეთი) — ვერა ზვონარიოვა (9, რუსეთი) 3:6 6:3 6:1; **ფრანჩესკა სქიავონე** (14, იტალია) — მეგან შონესი (აშშ) 7:6 (7:5) 4:6 7:6 (7:2); **ელენა ლიხოვცევა** (15, რუსეთი) — დინიზა ჰლადკოვა (ჩეხეთი) 7:6 (7:4) 6:2; **კატალინა კასტანო** (კოლუმბია) — პაოლა სუარესი (17, არგენტინა) 7:5 6:3; **ჟუსტინ ენენ-არდენი** (19, ბელგია) — ეგიგაილ სპირსი (აშშ) 6:4 6:3; **ხისელა დულკო** (29, არგენტინა) — კრისტინა ბრანდი (პუერტო რიკო) 4:6 6:0 6:3; **მარისა ირვინი** (აშშ) — დინარა საფინი (31, რუსეთი) 7:6 (7:4) 0:6 6:4



AFP მაიამიდან

ჟუსტინ ენენ-არდენი

ტურნირის შარშანდელ ჩემპიონ ენდი როდიკს ესპანელ ვერდასკოსთან ბუქნაობა დაშავებულმა მაჯამ არ დაამთავრებინა. ენდიბოიმ ვერდასკოს წინა კვირაში, ინდიანუელსობაზეც ძლივს აჯობა, ხოლო ამ ჯერზე, როცა საქმე ტრამამაც გაურთულა, ეს დაბრკოლება საერთოდაც გადაულახავად ექცა. ნამატჩევს ის ძალიან იმედგაცრუებული იყო, თუმცა იმით კმაყოფილობდა, რომ მაჯა არცთუ ძალიან დაჰშავებია. რაკიღა ის იქ შარშან ნაშოვნ ქულებს ვერ დაიცავს, რეიტინგიაში მისმომდევნო, მეოთხე ალაგას მდგომ მარატ საფინს შანსი აქვს, ნამაიამევს ჩაენაცვლოს კიდეც. მეორეადგილოსან ლეიტონ ჰიუიტს კი, ვინაც ტურნირს ფეხითის ტრავმის გამო აკლდება, შეუძლია, არ ინერვიულოს — მას ვერავინ დაეწევა.

საფინი ვახსენეთ და ბარემ აქვე გეტყვით, რომ ირაკლი ლაბაძის დასამარცხებლად მას კაი ორსაათნახევრიანი ბუღრაობა დასჭირდა. ეს მათი მეორე შეხლა გახლდათ და რუსმა ჩვენიანს მეორედვე მოუგო.

სხვაფრივ — დღის უმთავრეს მოვლენად იქცა ქალთა ნაპირველოსნარის, ჭინკა ჟუსტინ ენენ-არდენის დაბრუნება ხანგრძლივი უქმობის შემდეგ, რაც მავანი დამაოსებელი ვირუსით იყო გამოწვეული. შარშანდელი, მისთვის წარმატებული ოლიმპიადიდან უთამაშებელი ჟუსტინი მაინცდამაინც იოლად ვერა, მაგრამ უსახელო ამერიკელ ებიგაილ სპირსს მაინც დასტურ მოერია.

გაცილებით უპრობლემოდ გაიკაკეს სერენა და ვინუს უილიამსებმა და მარია შარაპოვამ. ხოლო ქსავიე მალისზე რომ გვიწერია, მსაჯმა აოტაო, ეგ მალისის მიერ რომელიღაც ხაზის მსაჯის გალანძღვის გამო მოხდა, თუმცა თავად ბელგიელი მერე იფიცებოდა, რომ ამდაგვარი არაფერი გაუკეთებია და მეორე წრეში გასვლისთვის რგებული 10 350 დოლარი ჯარიმის სახით სულ ტყუილად აეხა.

შაბათი. 26 მარტი

კაცები

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 6:3 6:1; **გილერმო კორია** (4, არგენტინა) — დავიდე სანგუინეტი (იტალია) 6:1 6:4; **ტიმ ჰენმანი** (6, ბრიტანეთი) — ივო მინარი (ჩეხეთი) 6:3 7:5; **გასტონ გაუდიო** (7, არგენტინა) — ბიორნ ფაუ (გერმანია) 6:2 6:2; **ანდრე აგასი** (9, აშშ) — პოლ-ანრი მათიო (საფრანგეთი) 7:5 6:4; **ჯეფ მორისონი** (აშშ) — იოახიმ იოჰანსონი (10, შვედეთი) 7:6 (7:3) 6:4; **ფერნანდო გონსალესი** (15, ჩილე) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) ფილიპუსისმა ვერ ითამაშა; **ტომი ჰაასი** (16, გერმანია) — მარდი ფიში (აშშ) 7:6 (8:6) 7:5; **მარიო ანჩიჩი** (18, ხორვატია) — რიკარდუ მელუ (ბრაზილია) 6:1 6:4; **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — ფელისიანო ლოპესი (19, ესპანეთი) 6:1 7:5; **ფლორიან მაიერი** (გერმანია) — ნიკოლას კიფერი (22, გერმანია) 6:4 6:2; **რადეკ შტეპანეკი** (23, ჩეხეთი) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 7:5 6:0; **სებასტიან გროჟანი** (27, საფრანგეთი) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:1 6:3; **ხუან იგნასიო ჩელა** (28, არგენტინა) — ჟან-რენე ლინარი (საფრანგეთი) 1:6 6:2 6:2; **მარიანო საბალეტა** (არგენტინა) — პარადორნ შრიჩაფანი (30, ტაილანდი) 7:6 (7:5) 6:3; **ტაილორ დენტი** (31, აშშ) — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 2:6 6:1 4:0 ჰანესკუმ შეწყვიტა

ქალები

ამელი მორეზმო (1, საფრანგეთი) — მარია კირილენკო (რუსეთი) 4:6 :4 6:1; **ელენა დემენტიევა** (4, რუსეთი) — ევგენია ლინეცკაია (რუსეთი) 6:3 2:6 6:4; **ანასტასია მისკინა** (5, რუსეთი) — მარია ვენტოკაბრი (ვენესუელა) 6:2 6:1; **სვეტლანა კუზნეცოვა** (6, რუსეთი) — გალინა ვოსკობოევა (რუსეთი) 6:1 6:3; **ანა ივანოვიჩი** (სერბეთი) — ნადია პეტროვა (10, რუსეთი) 6:4 7:5; **ნატალი დეში** (12, საფრანგეთი) — ლიზა რეიმონდი (აშშ) 6:2 6:4; **ელენა ბოვინა** (13, რუსეთი) — ტატიანა პერებიუნისი (უკრაინა) 6:3 6:2; **კაროლინა შპარემი** (ხორვატია) — არანჩა სანჩეს-ლორენსო (ესპანეთი) 6:3 6:3; **სტეფანი კოენ-ალორო** (საფრანგეთი) — დანიელა ჰანტუხოვა (20, სლოვაკეთი) 7:6 (7:3) 6:2; **ტატიანა გოლოვინი** (22, საფრანგეთი) — ანჯელა ჰეინსი (აშშ) 6:0 6:7 (6:8) 6:3; **კიმ კლაისტერსი** (ბელგია) — ემი ფრეზერი (აშშ) 6:2 6:3

ექვსგზის ჩემპიონმა ანდრე აგასიმ თავისი მე-19 მაიამობა ისეთრა ფრანგ პოლ-ანრი მათიოს ძლევით დაიწყო და ნაამძლევებს ძირითადად იმას ხარობდა, დაშავებული ფეხის ცერა თითი იუმც ოდნავ მიყმუოდა, მაგრამ არც იმდენად, ბურთაობაში ჩოგანი შემშლოდაო.

ამქრის ზეგარდმო პირველობისან როჯერ ფედერერს საათზე მხოლოდ თერთმეტი წუთით მეტი დასჭირდა საიმისოდ, რათა ზედიზედ მე-17 გამარჯვება რომ მიეთვალა.

პირველი წრის კვალობაზე კვლავაც საღოლ გაირჯა წინა კვირას ინდიანუელსობაზე გალაღებული კიმ კლაისტერსი, ვინაც შარშანდელი ტრავმიანობის შემდეგ უსწრაფესად დაიბრუნა საზეო ფორმა.

დამაჯერებლად გაიმესამწრეა შარშანდელმა ფინალისტმა გილერმო კორიამ — შეგახსენებთ, შარშან მას ენდი როდიკთან სატიტულე შეხლა მტკივანმა ზურგმა არ დაანება.

ავსტრალიელმა მარკ ფილიპუსისმა კი საპირველწრეო მატჩში დაშავებული კოჭი ველარ მოიკეთა და ფერნანდო გონსალესის წინააღმდეგ აღარც გასულა.

რაც შეეხება მდედრიონს, პირველ ნომრად განთესილმა ამელი მორეზმომ ჭაბუკ რუსგოგო მაშა კირილენკოს სამი სეტი მოანდომა და ეგეც ღმერთმა უწყის, როგორ დამთავრდებოდა, მესამის წინ 10-წუთიანი შესვენება რომ არ აეღო. დაბლიუტიეს წესებით, თუკი კორტზე ნამეტანი ხვატია, მეჩოგნეთ უფლება აქვთ, მესამე სეტის დაწყებამდე ამდენი ხნით დაგრილდნენ და ჯანიან ფრანგსაც სწორედ ამ ამბავმა უშველა, თორემ ეგებ მიმასქნებულიყო კიდეც.

არტემ ჩაჩანიძე

ნანატრი კატიკოსი

ასასიორუ თასებს აგროვებს

ოსაკას პრეფექტურის სპორტის სასახლეში ამ უქმეებზე დასრულებული მეორე სეზონური ბაშო ქართველი რიკიშის, ლევან ცაგურიასთვის წარმატებული გამოდგა. ბოლო რვა თვის განმავლობაში კოკაიმ პირველად შეძლო თხუთმეტტურიანი შეჯიბრის დადებითი ბალანსით, სუმოს ენაზე კატიკოსით ჩამთავრება.

ერთ დროს დასავლეთის პირველი მეგასირა ნელ-ნელა მეთოხემდე ჩამოქვეითდა და ახლა დაკარგულის დასაბრუნებლად იბრძვის. ოსაკურ ბაშოზე გამოჩნდა, რომ ეს რეალურად ძალუძს. ქართველის საქებარი სიტყვები შეჯიბრის მიმომხილველმა სპეციალურმა ვებ-გვერდმაც არ დაიშურა.

„შავმა ზღვამ" კატიკოსი ბოლოსწინა ტურში გაინაღდა და მეთხუთმეტე ბრძოლა ფორმალურად აქცია, თუმც თავი არც იქ შეირცხვინა და დადებითი ბალანსი უფრო გაზარდა — 9 მოგება და 6 წაგება.

იმპერატორის თასს კი, რაღა თქმა უნდა, მონღოლი „ცისფერი დრაკონი" დაეუფლა. 24 წლის იოკოძუნა ასასიორუმ სპეციალისტთა ვარაუდისამებრ, მეთორმეტე ტურში კი წაიფორხილა, მაგრამ ჩემპიონობა მომდევნო ტურში გაინაღდა. მერე დარჩენილი ორი ბრძოლაც უპრობლემოდ მოიგო.

ოსაკური ტრიუმფით ასასიორუ იოკოძუნა აკებონოს გვერდით დადგა. თასი ორივეს თერთმეტჯერ აუწევია, თუმც ამ სიაში მათ წინ კიდევ შვიდი დიდკაცია და „ცისფერ დრაკონსაც", ცხადია, თვალი მათ რეკორდებზე უჭირავს.

ცნობისთვის, ყველაზე ტიტულიანი თასის 32-გზის ლაურეატი ტაიხოა. თუმც ამ მაჩვენებლის დამხობა საკმაოდ შორი პერსპექტივაა, წლეულს 24 წლის მონღოლს ერთი რეკორდის დამყარება მაინც შეუძლია. სეზონის ექვსივე ბაშო აქამდე არც ერთ რიკიშის არ მოუგია, ასასიორუს ანგარიშზე კი ორი შესაძლებლიდან ორი ჩემპიონობაა.

სეზონის მესამე ბაშო აპრილში გაიმართება.

ოთარ გაღლაძელიძე

ტრადიციას ხელს ნუ ახლებთ

პროფესიონალ სუმოისტთა ასოციაციამ კატეგორიულად უარყო რამდენიმე დღის წინ მოყვარულთა ასოციაციის მიერ წამოყენებული იდეა მოჭიდავეთა სპორტული სამოსის შეცვლის შესახებ. მოგეხსენებათ, ამ სახეობის მიმდევართა ჩაცმულობა მხოლოდ ქამარი-მავასია, რაც ბევრ ევროპელ სპორტსმენს არ მოსწონს, ზოგიერთს კი, სულაც პროფესიონალებში გადასვლა სწორედ ამის გამო არ სურს.

სუმოს სამოყვარულო ასოციაციამ ასეთთა ინტერესების დაცვა ჩაიფიქრა, როცა ევროპულ სააგენტოებს ქამარი-მავასის სპეციალური სპორტული ტრუსით შეცვლის ინიციატივა გაუმჟღავნა, მაგრამ როგორც ჩანს, ამ საქმიდან არაფერი გამოუვა.

„ჭიდაობა სუმო იაპონელი ხალხისთვის გაცილებით მეტია, ვიდრე სპორტი — ამბობს პროფესიონალ მოჭიდავეთა ორგანიზაცია „NIHON SUMO KYOKAI"-ის პრეს მდივანი — მას ძველ რელიგიურ რიტუალთანაც აიგივებენ, თავად რინგი კი წმინდა ტერიტორიად ითვლება და ტრადიციის შეცვლაზე არათუ საუბარი, ფიქრიც კი გამორიცხულია".

ანანდმა მეტოქეთა შეცდომები შეირგო

ამბერის ტურნირი

მონტე კარლო. მონაკო 19 - 31 მარტი

VII ტური

ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) — ვასილ ივანჩუკი (უკრაინა)	1:0	0:1
პეტერ ხვიდლერი (რუსეთი) — ალექსეი შიროვი (ესპანეთი)	0,5:0,5	0,5:0,5
ბორის გელფანდი (ისრაელი) — ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი)	0,5:0,5	0,5:0,5
ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) — ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)	0:1	1:0
ევგენი ბარეევი (რუსეთი) — ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)	0,5:0,5	0,5:0,5
პეტერ ლეკო (უნგრეთი) — ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)	0,5:0,5	0,5:0,5

პირველად მოცემულია დაფაზედაუხედავი პარტიის შედეგი

ბოლო ორი ტური საშინელი გამოდგა ტურნირის ლიდერ ინდუსი ვიშვანათან ანანდისთვის. ჯერ იყო და რუს ალექსანდრ მოროზევიჩს დაუთმო ერთი ქულა, შემდეგ კი აუტსაიდერ ევგენი ბარეევთან თეთრი ფიგურებით სწრაფ პარტიაში დამარცხდა და საბოლოოდ ოთხ მატჩში 2,5 ქულა დაკარგა. მიუხედავად ამ წარუმატებლობისა, აზიელი დიდოსტატი კვლავ ტურნირის ერთპიროვნული ლიდერია და უახლოეს მდევრებს 2,5 ქულით უსწრებს, რადგანაც რუსებმა, რომლებიც მისი უშუალო კონკურენტები არიან, პეტერ სვიდლერმა და მოროზევიჩმა, ქულები უაზროდ მიმოფანტეს და თავიანთი შეცდომებით პირველადგილოსანთან სხვაობა იგივე დატოვეს.

მეშვიდე ტურში მოროზევიჩი ფიდეს რეიტინგის მესამე ნომერს და ამჟამად ტურნირის აუტსაიდერ ბულგარელ ვესელინ ტოპალოვს დაუპირისპირდა.

თვალხუჭუნა პარტიაში მათ პეტროფის დაცვა გაითამაშეს, ჯარით გამოვიდნენ წინ და ფიგურების გაცვლას შეუდგნენ. მე-16 სვლაზე რუსი პაიკით დაწინაურდა, შეტევებში უფრო თამამად ჩაერთო და მტრის მსგავსად სტრატეგიის ვავითარება დაიწყო. მანევრებში ტოპალოვი უფრო მოხერხებული გამოდგა, ეტლითა და კუთი საშველი არ მისცა მოროზევიჩს. მთელი დაფა მოატარა და 35-ე სვლაზე პაიკით გავიდა წინ. ასეთ ღრმა ხარისხით დაწინაურება ბევრს ნიშნავს. ტოპალოვმაც მტერს ყურადღება ზედმეტ პაიკზე გადაატანინა, თვითონ კი სტრატეგიას მიხედა და 22 სვლაში ტურნირზე მეორე გამარჯვება მოიპოვა.

იერიშებში და ხილვა-ყლუპში წარიმართა სწრაფი პარტიაც, და იგი 33-ე სვლაზე შავებით მოთამაშე მოროზევიჩის გამარჯვებით დასრულდა. ამ ქულამ რუსს მეორეობა შეუნარჩუნა.



ტოპალოვთან სწრაფმა მოგებამ მოროზევიჩს მეორეობა შეუნარჩუნა

1. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი)	5,5:5	10,5
2. ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი)	3,5:4,5	8
3. პეტერ სვიდლერი (რუსეთი)	4:4	8
4. პეტერ ლეკო (უნგრეთი)	3,5:4,5	8
5. ვასილ ივანჩუკი (უკრაინა)	3,5:4,5	8
6. ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)	4,5:3	7,5
7. ბორის გელფანდი (ისრაელი)	3,5:3,5	7

პირველად მოცემულია დაფაზედაუხედავი პარტიის შედეგი, მეორეზე სწრაფის

ფიშერმა ჭადრაკი ააგდო და ამერიკა შეუშვირა

იაპონიის ციხიდან გამოსული 62 წლის დიდოსტატი ბობი ფიშერი ახალ სამშობლოს, ისლანდიას ეწვია და იქიდან ძველი სამშობლო, ამერიკის შეერთებული შტატები გამოთათხა.

„აშშ-ს ებრაელები აკონტროლებენ, ათასგვარ ბოროტებას იგონებენ და ეს ცუდია. მათი მოკავშირეები: ინგლისი, იაპონია, ავსტრალია და კიდევ სხვანი, მხარს უჭერენ და მთელ პლანეტაზე ბოროტებას სჩადიან" — განაცხადა მსოფლიოს მე-11 ჩემპიონმა და მომავალზე ისაუბრა: „ამ მოძველებულ სპორტს ალარასოდეს გავეკარები, თუმც რა აზრი აქვს, რომ ვითამაშო, ვიცი, ყველას მოვუგებ. დარჩენილ ცხოვრებას ისლანდიაში გავატარებ, რადგანაც მშვენიერი ქვეყანაა, შესანიშნავი ხალხით და მდიდარი საშზარეულოთი".

ფიშერის ისლანდიაში ექსტრადიციით, რა თქმა უნდა, უკმაყოფილოა აშშ.

„ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას და შევეცდებით, რაც გვსურდა, გავაკეთოთ" — განაცხადა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ადამ ერელიმ, აშშ ფიშერის გადაცემას კი რვა თვის წინ, დაკავებისთანავე ითხოვდა, თუმც ვერ შეძლო და ახლა მათი ძებნილი თავისუფალია.

რას იზამს, ამერიკა, ჯერ უცნობია.

„როგორც ვიცი, ამერიკის შეერთებული შტატები ისლანდიას ჩემს შესახებ ჯერ არ შეხმიანებია. ვნახოთ, მომავალში რა იქნება" — განაცხადა ფიშერმა, რომელსაც აშშ-ში ჩასვლის შემთხვევაში 10-წლიანი ციხე და 250 ათას დოლარიანი ჯარიმა ელის.

შეგახსენებთ, რომ აშშ ფიშერს 1992 წლიდან ეძებს. ამ წელს დიდოსტატმა იუგოსლავიაზე დაწესებული ეკონომიკური სანქციები დაარღვია, ბელგრადში ჩავიდა და 3,3 მილიონ დოლარად შეფასებული მატჩი ითამაშა ყოფილ მეტოქე ბორის სპასკთან. გარდა ამისა, ვაშინგტონი ფიშერს გადასახადების დამალვაშიც ადანაშაულებს.

ამერიკასა და ისლანდიას შორის კი ექსტრადაციის შესახებ სპეციალური შეთანხმება არსებობს და შტატებს კიდევ შეუძლია, 62 წლის დამნაშავე თავისთან დააბრუნოს.

ლაშა გეგეჭკორი





ბობი ფიშერს ისლანდიაში ზარ-ზეიმით დახვდნენ

ბაჩო კორინთელის ფოტოები

დაკარგული საღამო

ეს ის ამბავია, ნეტავ 1:0-ზე შუქი წასულიყო-თქო, რომ იტყვი. იშვიათად დაუწყია საქართველოს თამაში ასეთი იმედითა და მოწადინებით. იშვიათად ყოფილა ვაკის სტადიონის ტაბლო ასეთი მხიარული და ასეთი მწარე. დიახ, ჩამწარებული საღამოს ამბავია. მორიგი ჩამწარებული საღამოს ამბავი. რა არის თბილისის მინდვრების ნიშანი, ომახიანად ნამღერი ჰიმნი თუ ბოთლების წვიმა, რომელსაც მარადიულობის სურვილი გასჩენია. საქართველო — დაკარგული საღამო.



ბაჩო კორინთელის ფოტო

ბაჩო კორინთელის ფოტოები

ბაჩო კორინთელის ფოტო

ბაჩო კორინთელის ფოტო

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლაშა ხომერიკი, კახა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კლაურაძე, ოთარ ძაღლიკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე ველუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge